გაზეთი ბევრია, „ვერსია“ ერთი

ვერსია

ფასი 50 თეთრი

№8 (903) 5 – 6 თებერვალი, 2014 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

მარილის სკანდალი

კორუფციული გარიგება და გზებზე გაფლანგული 322 000 დარი?!

„სამწუხაროდ, ჩვენ ხელისუფლების დაქირავება და კონტროლი ვერ ვისწავლეთ“

რა პროექტებს დააფინანსებს და რამდენს დახარჯავს საზოგადოების განვითარებისთვის ბიძინა ივანიშვილის არასამთავრობო ორგანიზაცია „მოქალაქე“

გვ. 3–4

ბიზნესმენ ნატალი კვანტალიანის წარმატების საიდუმლო

გვ. 5

რამდენჯერ დაიწყო ცხოვრება ნულიდან და როგორ შექმნა ბიზნესიმპერია ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის ყველაზე ახალგაზრდა აკადემიკოსმა

ნინო ბურჯანაძის სკანდალური ჩვენება და მერაბიშვილის მაძღლობა

რა კავშირი აქვს ბადრი ბიწაძეს 2007 წლის ნოემბრის მიტინგის დარბევასთან და იწყებდა თუ არა 2008 წლის აპრილში საკაშვილი ომს აფხაზეთში

ქართული კავშირგაბმულობის პროფესიონალი ლიდერი ავთანდილ იაშვილი 60 წლისაა

გვ. 11

„ვისოლი“ Wendy's-ის პრეზიდენტს მასპინძლობს

რა მისიით ჩამოვიდა საქართველოში ემიდ ბროდიკი? — 2014 წელს, „ვისოლი“ საქართველოში Wendy's 7 ახალ რესტორანს გახსნის

გვ. 10

„ტრაქტორების საქმეზე“ პროკურატურამ სარჩელი გაითხოვა

გვ. 6

დაბრუნდება თუ არა საჯარო სამსახურში დავით კირვალიძე და დადგება თუ არა დაშა ნაცვლიშვილისა და გელა ხვედელიძის პასუხისმგებლობის საკითხი?

მემორანდუმი, რომელიც მოსახლეობას სტიქიური უბედურებისა და კატასტროფისგან დაიცავს

თებერვალს, სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში" ხელი მოეწერა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსა და შვეიცარიის თანამშრომლობისა და განვითარების სააგენტოს შორის თანამშრომლობის შესახებ მემორანდუმს პროექტის „პრევენციისა და მზაობის სისტემის გაძლიერება – მეორე ეტაპი" (Strengthening of the Prevention and Preparedness System-Phase II) ფარგლებში.

დოკუმენტს ხელი მოაწერეს საქართველოს შს მინისტრმა ალექსანდრე ჭიკაიძემ, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრმა ხათუნა გოგალაძემ და შვეიცარიის თანამშრომლობისა და განვითარების სააგენტოს რეგიონულმა დირექტორმა რუდოლფ შოხმა.

აღნიშნული პროექტი განხორციელდება ბუნებრივი კატასტროფებისადმი მიდრეკილ ზემოსვანეთის რეგიონში, რაც ხელს შეუწყობს ადგილობრივი მოსახლეობის დაცვას სტიქიური მოვლენებისგან. ამასთანავე, პროექტის მიზანია საქართველოში კატასტროფების მართვის შესაძლებლობების გაუმჯობესება. პროექტის განხორციელების შედეგად შესაძლებელი გახდება, შვეიცარიის გამოცდილების საფუძველზე, პრევენციული ღონისძიებების გასატარებლად რისკების მართვის მეთოდოლოგიის სისტემური მიდგომის შემუშავება და მისი გამოყენება ეროვნულ დონეზე. პროექტი ასევე ითვალისწინებს სახანძრო-სამაშველო სამსახურების თანამშრომლების პროფესიული მომზადების სისტემის ფუნქციონირების ხელშეწყობას, რათა გაუმჯობესდეს ოპერატიული რეაგირების სპეციალისტების შესაძლებლობები და მოხდეს ოპერატიული და მდგრადი რეაგირების სისტემის უზრუნველყოფა ქვეყნის მასშტაბით. პროექტის ფარგლებში, შინაგან საქმეთა სამინისტრო გააგრძელებს სასწავლო კურსების ჩატარებას მუნიციპალური მეხანძრეებისა და მაშველებისთვის.

აღნიშნული პროექტი შეესაბამება სამხრეთ კავკასიაში შვეიცარიის თანამშრომლობის სტრატეგიას (2013-2016) და მთავრობისა და საჯარო სამსახურების მიზნებს, ასევე ეფუძნება შვეიცარიის თანამშრომლობის სააგენტოს, საქართველოს შსს-ს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტისა და გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსა დიდი ხნის თანამშრომლობას საქართველოში კატასტროფების რისკის შემცირების შესაძლებლობების გაძლიერებისთვის.

„ვერსიანიუსი"

პატრიარქის ფონდში პროექტების მისაღებად კონკურსი მიმდინარე კვირის ბოლოს გამოცხადდება

პატრიარქის ფონდის ხელმძღვანელმა ლაშა ჟვანიამ იმ მიმართულებებსა და პრიორიტეტებზე ისაუბრა, რომელთა მიხედვითაც პროექტების დაფინანსება მოხდება:

„პატრიარქის ფონდის მმართველი საბჭო იმ საკითხზე შეიკრიბა, რომელიც ეხება ბიზნესმენ დავით იაკობაშვილის მიერ განხორციელებული შემოწირულობის — 350 000 ლარის განაწილებას, თუ რა მიმართულებებით უნდა გამოცხადდეს პროექტების მიღება. შესაბამისად, საბჭო რამდენიმე ძირეულ მიმართულებაზე ჩამოყალიბდა. ერთი ძირითადი მიმართულება სოფლის მეურნეობაა. აქ ყურადღება მიექცევა გამოყენებით პროექტებს. ამ მიმართულებით გამოიყო 200 000 ლარი, დაახლოებით 20 000 ლარი კი სასწავლო გრანტზე გამოიყო. ძირითადად, ყურადღება გამახვილდება რეგიონებში არსებულ სასწავლებლებზე, სამაგისტრო და სადოქტორო გრანტებზე. როგორც იცით, აგრონომიული სასწავლებლები თელავში, ბათუმში, ქუთაისსა და გორშია. ძირითადად, 200 000 ლარი გამოყოფილი იქნება სოფლის მეურნეობის საწარმოებში თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვისთვის".

რაც შეეხება სხვა მიმართულებებს, ესენია: ფილოსოფია და ფსიქოლოგია, საღვთისმეტყველო თარგმანები, ქართული ენის სწავლება სხვადასხვა დიასპორის წარმომადგენელთათვის.

„იცით, რომ უწმინდესობა დიდ ყურადღებას აქცევს საქართველოში ანალიტიკური აზროვნების განვითარებას. ამ მხრივ გრანტი იმ პირებზე გაიცემა, რომლებიც დადებენ პროექტს, რომელიც ასწავლის პედაგოგებს განსაკუთრებით, დაწყებით კლასებში, როგორ ასწავლონ ბავშვებს ანალიტიკური აზროვნება. ასევე, საღვთისმეტყველო თარგმანებზე გამოცხადდება კონკურსი. ამ მიმართულებით 30 000 ლარი გამოიყოფა და ამ კუთხით, 6 პროექტის დაფინანსებაზე ვფიქრობთ. საუბარია უცხოურ ენაზე გამოცემული საღვთისმეტყველო ნაწარმოებების ქართულ ენაზე თარგმნაზე, რისი დეფიციტიც არის ჩვენს ქვეყანაში. გარდა ამისა, შეიძლება პროექტი შემუშავდეს იმისთვის, რომ სხვადასხვა დიასპორის წარმომადგენელმა ბავშვებმა ქართული ენა შეისწავლონ განსაკუთრებით იმ გარემოში, სადაც ქართულად საუბარი ნაკლებად არის", — განაცხადა ჟვანიამ და დასძინა, რომ ამ საკითხზე დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრ კონსტანტინე სურგულაძესთანაც ჰქონდა საუბარი და, სავარაუდოდ, პატრიარქის ფონდი ამ თემაზე სამინისტროსთან ერთად იმუშავებს.

რაც შეეხება პროექტების მიღების ვადებს, როგორც ჟვანიამ განმარტა, კონკურსი ამ კვირის ბოლოს გამოცხადდება და ფონდი პროექტებს ერთი თვის განმავლობაში მიიღებს.

პროექტები მიიღება კათოლიკოს-პატრიარქის ფონდში, რუსთაველის გამზ. N21-ში, 10:00-დან 17:00 საათამდე.

„პროექტების მიღების დასრულების შემდეგ, ექსპერტების ჯგუფებს პროექტების განსახილველად 1 თვის ვადა ექნება. შუალედში საბჭო შეიკრიბება. შესაძლოა, ესა თუ ის პროექტი, ელექტრონული ფორმით შესაფასებლად უცხოელ ექსპერტებსაც გადავუგზავნოთ, შეფასებას მივიღებთ. გაფილტრული პროექტები კი განსახილველად საბჭოს გადაეცემა", — აღნიშნა ჟვანიამ.

„პია"

საგარეო საქმეთა სამინისტრო ოლიმპიადაზე წასვლის მსურველთათვის ინფორმაციას აქვეყნებს



ფანჯიკიძის უწყების ცნობით, სოჭში მყოფ საქართველოს მოქალაქეებს დახმარებისთვის შეუძლიათ რუსეთის ფედერაციაში შვეიცარიის კონფედერაციის საელჩოს საქართველოს ინტერესების სექციის ვიცე-კონსულს მიმართონ.

„გაცნობებთ, რომ სპეციალურად ზამთრის XXII ოლიმპიური თამაშების პერიოდისთვის (2014 წლის 7-23 თებერვალი) ქ. სოჭში მივლენილია რუსეთის ფედერაციაში შვეიცარიის კონფედერაციის საელჩოს საქართველოს ინტერესების სექციის ვიცე-კონსული, რომლის უშუალო კომპეტენციაში შედის შესაბამისი დახმარება აღმოუჩინოს სოჭში მყოფ საქართველოს მოქალაქეებს. ქ. სოჭში ოლიმპიური პარკის ტერიტორიაზე განლაგებულ „შვეიცარიის სახლში" საქართველოს მოქალაქეებისთვის იმოქმედებს ცხელი ხაზი +7 926 422 96 49, +7 926 326 45 25. საქართველოს მოქალაქეებისთვის ცხელი ხაზი ასევე იმუშავებს ქ. მოსკოვში მოქმედი შვეიცარიის კონფედერაციის საელჩოს საქართველოს ინტერესთა სექციაში +7 926 926 27 40 და თბილისში, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საკონსულო დეპარტამენტში +995 32 294 50 50, +995 577 98 40 20", — ნათქვამია სამინისტროს მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

„ვერსიანიუსი"

ქართველი ბიზნესმენი სომხეთის კურორტზე ყინვისგან გარდაიცვალა

სომხეთის სამთო-სათხილამურო კურორტ ცახაძორში, 35 წლის ქართველი ბიზნესმენი არჩილ მაღრაძე გარდაცვლილი იპოვეს. მაღრაძე კომპანია „არმენ ტელის" კომერციული დირექტორი იყო და სომხეთში 2013 წლის ივნისიდან მუშაობდა. დაღუპული არჩილ მაღრაძის საქართველოში გადმოსვენების პროცედურები დაწყებულია. სომხეთში საქართველოს კონსულის შორენა წიკლაურის განცხადებით, ამ დროისთვის, გარდაცვლილის ცხედარი ერევანში, პროზექტურაშია გადასვენებული.

„დეტალური ინფორმაციის გამოთხოვის მიზნით, პოლიციის განყოფილებას მივმართეთ. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, არჩილ მაღრაძის საქართველოში გადასვენების პროცედურები დაწყებულია. არჩილ მაღრაძის ცხედარი ერევანში პროზექტურაშია მოთავსებული", — განაცხადა შორენა წიკლაურმა.

არჩილ მაღრაძის გარდაცვალების შესახებ ინფორმაცია სომხურმა მედიამ გაავრცელა. 35 წლის ქართველი ბიზნესმენის გარდაცვალების მიზეზი, წინასწარი ინფორმაციით, სხეულის გადაციებაა. 2 თებერვალს, მაღრაძე კურორტზე სნოუბორდზე სასრიალოდ წავიდა და მეორე დღეს სამსახურში არ მივიდა, რის შემდეგაც ძებნა გამოცხადდა. გარდაცვლილი სომხეთის საგანგებო სიტუაციათა სამსახურმა ცახაძორის კომპლექსის საბაგიროს გზის მესამე სადგურთან იპოვნეს. პოლიციის მონაცემებით, მაღრაძე სავარაუდოდ, სრიალის დროს დაიკარგა და სასტუმრო „მორი პლაზასკენ" სიარული ფეხით განაგრძო, თუმცა გზაში სხეულის გადაციება დაემართა, 2 თებერვალს ცახაძორში -25 გრადუსი იყო. ცახაძორში ასევე ნაპოვნია არჩილ მაღრაძის კუთვნილი ავტომანქანა ჰიუნდაი, სამართალდამცავების ინფორმაციით, ცხედარს სხეულის დაზიანება არ აღენიშნება და დაზიანების გარეშეა მისი კუთვნილი ავტომანქანაც. არჩილ მაღრაძე „არმენტელის" კომერციულ დირექტორად 2013 წლის 11 ივლისს დაინიშნა. ტელეკომუნიკაციების სფეროში მაღრაძის კარიერა 1999 წელს „მაგთიკომში" დაიწყო, სადაც ცხრა წლის განმავლობაში მუშაობდა. 2006 წელს კომპანია „მობიტელში" გადავიდა, 2008 წელს კომპანია „ბილაინის" კომერციულ დირექტორად დაინიშნა. მოგვიანებით, 2010 წელს არჩილ მაღრაძე კომპანია „უნიტელის" ტაშკენტის ფილიალის დირექტორად დაინიშნა, 2012 წელს კი კამბოჯაში „ბილაინის" კომერციული დირექტორი იყო. არჩილ მაღრაძეს მეუღლე და ოთხი შვილი დარჩა.

„პირველი რადიო"

ძლიერი ყინვის შედეგად მდინარე რიონი გაიყინა

უცნაური სანახაობა ფოთელებმა დილით შეამჩნიეს. მათი განცხადებით, მსგავსი რამ აქამდე არ უნახავთ. მდინარე რიონი ფოთის შესართავთან მთელ პერიმეტრზეა გაყინული.

როგორც „პირველს" ფოთის მერიის პრესსამსახურში განუცხადეს, რიონის მოყინვა ფოთის პერიმეტრზე არ მომხდარა.

„საკმარისი ყინვა წუხელ ფოთში არ იყო, თუმცა, როგორც სპეციალისტებმა ამიხსნეს, რიონი სათავეში მოიყინა, დინებამ კი ყინულის ლოდები ფოთამდე ჩამოიტანა", — განაცხადეს პრესსამსახურში.

ფოთში წუხელ -2 გრადუსი ყინვა დაფიქსირდა.

„პია"

„სამწუხაროდ, ჩვენ ხელისუფლების დაქირავება და კონტროლი ვერ ვისწავლეთ!“

რა პროექტებს დააფინანსებს და რამდენს დახარჯავს საზოგადოების განვითარებისთვის ბიძინა ივანიშვილის არასამთავრობო ორგანიზაცია „მოქალაქე“



ეროვნულ შელია
557-100-768

4 თებერვალს, საქართველოს ექსპრემიერი ბიძინა ივანიშვილი, საზოგადოების წინაშე არასამთავრობო ორგანიზაცია „მოქალაქის“ თავმჯდომარის რანგში პირველად წარსდგა და ქართველი და უცხოელი ჟურნალისტებისთვის პირველი პრესკონფერენცია გამართა. „ვერსია“, ტრადიციულად, გთავაზობთ ამ შეხვედრის შემცირებულ ვარიანტს.

— ჩემი ოცნება თავისუფალ საქართველოში თავისუფალი მოქალაქეობა იყო, რომლის განხორციელების მიზნითაც პოლიტიკაში მოვედი და ამავე მიზნით, სამოქალაქო სექტორში გადავინაცვლე. სამწუხაროდ, ჩვენ ხელისუფლების დაქირავება და კონტროლი ვერ ვისწავლეთ, არც ის ვიცოდით, როგორ აგვერჩია მთავრობა, რის გამოც 20 წლის განმავლობაში მოჯადოებულ წრეზე დავდიოდით. უნდა გავაცნობიეროთ, რომ ადამიანი, რომელსაც საკუთარი პარტიაც კი ვერ დაუფუძნებია, ცხოვრებაში ღირებული არაფერი შეუქმნია და აბსოლუტურად ხელმოცარულია, ოქროს კოშკებს ვერ აგვიშენებს. მუდმივად არც უმწიკვლო ზეადამიანი უნდა ვეძებოთ... „მოქალაქე“ საზოგადოებას სწორედ ხელისუფლების გაკონტროლების პროცესში დაეხმარება, რაშიც მედიაც საკმაოდ დიდ როლს ასრულებს, ამიტომ ჩემი დიდი ყურადღებაც ჟურნალისტებისკენაა მიმართული. „მოქალაქე“ მედიას ტრენინგების ჩატარებასა და კვალიფიკაციის ამაღლებაში დაეხმარება. პარალელურად, ახალი ანალიტიკოსების მომზადების დაფინანსებასაც ვგეგმავთ. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ადგილობრივი და საზღვარგარეთ არსებული ავტორიტეტული ორგანიზაციები პერმანენტულად კვლევებს ჩაატარებენ და მედიის ობიექტურობის ხარისხს შეამოწმებენ. გარდა ამისა, პირადად ჩემი იდეაა, „ქართუ ფონდის“ მეშვეობით ახალი არასამთავრობო ორგანიზაციების დაფუძნება წელიწადში მაქსიმუმ 50 ათასი ლარის დაფინანსებით წავახალისოთ. გვაქვს სურვილი, რომ არასამთავრობო ორგანიზაცია უკვე დასაქმებულმა პროფესიონალებმა შექმნან, რადგან გრანტები მთავარი შემოსავლის წყარო არ უნდა იყოს. თუ ვნახავ, რომ ახლადდაფუძნებელი „ენჯეოები“ ევროპის სივრცეში დაბრუნებისკენ იქნებიან მომართულნი, შესაძლოა, მომავალში ერთ ორგანიზაციადაც ჩამოვყალიბდეთ. ამ ტიპის ახალი ორგანიზაცია უკვე არსებობს, რომელიც არჩილ კბილაშვილმა დააფუძნა. ის საზოგადოებას სწორედ სამართლის მიმართულებით სხვადასხვა ტიპის პროექტების დამუშავებაში დაეხმარება.

— საინტერესოა, გიორგი საბანაძის გარდა, კიდევ ვინ იქნება თქვენ არასამთავრობო ორგანიზაციაში ან ამ მიმართულებით წლიურად რა თანხის დახარჯვას გეგმავთ?

— ჩემი ჩათვლით, ორგანიზაციაში უკვე შვიდი ადამიანი შევიკრიბეთ. დანარჩენებს კი მას შემდეგ გაიცნობთ, რაც ხელშეკრულებები გაფორმდება. შესაძლოა, ჩვენი რიცხვი ათამდე გაიზარდოს, მაგრამ თანამშრომლების ხელფასი განსაკუთრებულად მაღალი არ იქნება. რაც შეეხება ხარჯებს, ჯერჯერობით, კვლევების სიხშირე დაზუსტებული არ გვაქვს. მაინც არა მგონია, ფანტასტიურ ციფრებთან გვქონდეს საქმე — ალბათ, ერთი, ორი ან სამი მილიონი...

— თუმცა პოლიტიკიდან წასვლამდე აღნიშნეთ, რომ სამოქალაქო სექტორიდან ხელისუფლებას გააკონტროლებდით. ორი თვე უკვე გავიდა, რაც პრემიერის თანამდებობა დატოვეთ. შეგიძლიათ მმართველი გუნდის მიმართ სამი შენიშვნა მაინც გააჟღეროთ?

— ხელისუფლების მუშაობით საკმაოდ კმაყოფილი ვარ და მიმაჩნია, რომ ევროპული ტიპის გუნდი დავტოვე. მომწონს ის პოლემიკაც, რომელიც საზოგადოებასა და ხელისუფლებას შორის მიმდინარეობს. სამი შენიშვნა ჩამოყალიბებული არ მაქვს, მაგრამ მიმაჩნია, რომ ხელისუფლებაში ბევრი ღირსეული ადამიანია. ჩვენ სწრაფად გვინდა იმ შედეგის მიღწევა, რასაც დრო ჭირდება, მათ შორის, სამუშაო ადგილების გაზრდის თვალსაზრისით.

— განსაკუთრებით დიდი უკმაყოფილება დაგროვდა ლარის კურსის გაუფასურებასთან დაკავშირებით. საზოგადოების ნაწილს კი აქვს განცდა, რომ დაპირებები არ შეასრულეთ. მაგალითად, 2014 წლის ბიუჯეტში პენსიების ზრდა გათვალისწინებული არ არის...

— ლარის ვარდნა საგანგაშო არ არის... არასოდეს მითქვამს, რომ 2014 წლის ბიუჯეტში პენსიის ზრდა უნდა გათვალისწინებულიყო. არჩევნებამდე ვაცხადებდი, რომ პენსია საარსებო მინიმუმს უნდა გათანაბრებოდა, რაც მოვახერხეთ კიდეც. ნაციონალური მოძრაობის მიერ დატოვებული ბიუჯეტიდან ერთი მილიარდი ლარი სოციალური პროექტებისკენ მივმართეთ. ამიტომ ჩემთვის გასაგები კითხვა უნდა დასვათ. როგორც ჩანს, ჩემი დაპირება სწორად არ გაგიგიათ, შესაბამისად, პრეტენზიებსაც ვერ მივიღებ.

— საზოგადოებას 2013 წლის ბოლომდე არც ასი საწარმოს მშენებლობას დაპირდით?

— საწარმო ერთ წელიწადში არ იხსნება. ჩვენ ასი საწარმოს შექმნას დავპირდით, მაგრამ ასზე გაცილებით მეტი საწარმო დაფინანსდა. უნდა გვესმოდეს, რომ ერთ თვეში ფეხმძიმე ქალბატონი შვილს ვერ გააჩენს.... რაც ხალხს დავპირდით, იმაზე ბევრად მეტი გავაკეთეთ და სამომხმარებლო კრედიტებიც გავეცით, რაზეც საკმაოდ დიდი მოთხოვნილება გაჩნდა.

— დაპირებებთან დაკავშირებით 2014 წლის 4 ივნისს ერთ-ერთი ქართულ გაზეთისთვის მიცემული ინტერვიუდან თქვენ განცხადებას შეგახსენებთ: „ხელისუფლებაში ჩვენი მოსვლის შემდეგ ნახავთ, როგორ დაიწევს ფასი პირველადი მოხმარების პროდუქტებზე, ასევე საწვავზე, ელექტროენერგიაზე... დაინახავთ, როგორ შემცირდება გაზის ფასი, სადაც როგორც ვიცი, ესენი წილს იღებენ“. ზუგდიდში გამართულ აქციაზე კი საუბრობდით, რომ 2013 წელს ქალაქში კავკასიის რეგიონისთვის განკუთვნილი საერთაშორისო სამედიცინო ცენტრი და სასწავლებლის მშენებლობა დაიწყებოდა.

— დაწესებულების პროექტირება დიდი ხანია დაიწყო და ეს საკითხი სერგეენკოსთან გადაამოწმეთ. დაპირებების შეუსრულებლობის საკითხს ზედმეტად მტკივნეულად ვუყურებ... რაც შეეხება მონოპოლიას, ამაზე მუშაობა იმაზე რთული გამოდგა, ვიდრე წარმომედგინა. ამ საკითხზე ურთიერთობა პრემიერობის დროს აზერბაიჯანის პრეზიდენტთანაც მომიწია, რადგან ტრანზიტული ფუნქცია, რაც საქართველოს გააჩნია, ბოლომდე უნდა აღდგეს. ეს ფუნქცია ლამის ნულამდე იყო მიყვანილი — იმ ტვირთების 10 %-იც აღარ მოდიოდა, რაც უნდა გადმოსულიყო. ამ მიმართულებით სხვადასხვა ტიპის გარიგებები არსებობდა, თუმცა საკითხის გაშლა არ მინდა. ორი ქვეყნის მეთაურები შევთანხმდით, რომ აღნიშნული სატრანზიტო ფუნქცია ორივე სახელმწიფოსთვის საინტერესოა. კოლოსალური სამუშაოებიც ჩატარდა, რომელიც დღემდე გრძელდება. ჩვენმა ძირითადმა, სატრანზიტო ფუნქციამ დიდი დივიდენდები ქვეყანას უნდა მოუტანოს. რაც შეეხება საწვავზე ფასს, აღნიშნულის მხოლოდ მონოპოლიის თემასთან დაკავშირება არასწორია. ბენზინზე ფასების მერყეობა, მარტო მონოპოლიების არსებობას არ უნდა დავაბრალოთ. ყურადღება საგარეო ბაზარსაც უნდა მივაქციოთ.

— თქვენი დაპირება სამართლიანობის აღდგენაც იყო. თუნდაც დავით კეზერაშვილის საქმესთან დაკავშირებით, პროკურატურამ თქვენი იმედები გაამართლა?

— სამწუხაროდ, წარმოდგენაც არ გაქვთ, წინა ხელისუფლებისგან რა მივიღეთ... დავით კეზერაშვილის წითელ ცირკულარში ჩასასმელად პირადად ვიყავი ჩართული, მაგრამ თვეების განმავლობაში ამას ვერ ვახერხებდით. ნაციონალები ლობისტებს მაქსიმალურად აფინანსებდნენ და დასავლეთიდან გვაშინებდნენ. ამ მიმართულებით 16 მილიონი ლარი მხოლოდ უშიშროების საბჭომ დახარჯა, ნაღდი ფულის სახით კი 400 000 და 200 000 დოლარია გატანილი... ამ კითხვებს პასუხი უნდა გაეცეს.

დასასრული მე-4 გვერდზე

„სამწუხაროდ, ჩვენ ხელისუფლების დაქირავება და კონტროლი ვერ ვისწავლეთ!“

მე-3 გვერდიდან

— როცა არჩილ კბილაშვილი მთავარი პროკურორის პოსტიდან გადადგა, განაცხადა, რომ მისი და თქვენი აზრი პროკურატურაში ცვლილებებთან დაკავშირებით ერთმანეთს არ ემთხვეოდა. არჩილ კბილაშვილი გახმაურებულ საქმეებს გულისხმობდა?

— მოწმის დაკითხვის კანონპროექტი ერთ-ერთი მიზეზი იყო, რის გამოც მე და არჩილი ვერ ვთანხმდებოდით. ჩემი პრემიერობის დროს იყო მსჯელობა, აღნიშნული კანონის მიღება დაგვეჩქარებინა, თუმცა მაშინ უამრავი პროცესი გართულებული იყო. არჩილი თავისი სიყმაწვილით ჩქარობდა, მაგრამ ჩვენ შორის კონფლიქტი არ ყოფილა. მას სურდა ევროპული ან ამერიკული ტიპის პროკურატურა სწრაფად მიგვეღო... ჩემი პრინციპული პოზიცია იყო, გამოძიება მაქსიმალურად გამჭვირვალედ და პროფესიონალურად წარმართულიყო. არჩილს ვუთხარი, ზედმეტად არ აჩქარდეთ და საზოგადოების მოთხოვნილება არ დაექვემდებაროთ, აქცენტი ხარისხზე გააკეთეთ-მეთქი. დღესაც არის განცდა, რომ სამართლიანობის აღდგენის პირობა არ შესრულდა, მაგრამ გარკვეული წარმატება არსებობს.

— თუმცა ყოფილი ხელისუფლების არცერთი მაღალჩინოსანი არ დასჯილა...

— აბა, ევროპელებს კითხეთ — ყოფილი პრემიერი ციხეშია, არჩეულ მერს კი, უფლებამოსილება შეუჩერდა. გიგი უგულავას წინააღმდეგ სასამართლო პროცესიც მიმდინარეობს და დიდი ალბათობით მას პასუხისგებაც მოუწვეს, თუმცა არ მინდა, მოვლენებს დავასწრო. ევროპელები და ამერიკელები ამ პროცესებზე გაგიჟებულები არიან, საზოგადოება კი პირიქით, ამბობს, რომ არაფერიც არ მომხდარა. მიმაჩნია, რომ პროკურატურამ და სასამართლომ რამდენი პირიც უნდა დააკავოს და დასაჯოს, საზოგადოებაში უკმარისობის განცდა მაინც დარჩება. ნაციონალური მოძრაობა პირდაპირი მნიშვნელობით ხალხზე ძალადობას ვეღარ ახერხებს, მაგრამ ის მენტალურ ძალადობაზე გადავიდა, რაც ჯამში, უტიფრობაში გადაიზარდა. ნახეთ, როგორი ტერმინებით გვესაუბრებიან, როგორ გვიკითხავენ მორალს და ბრალს გვდებენ იმაში, რასაც თვითონ წლების განმავლობაში აკეთებდნენ. საზოგადოებას ეგონა, რომ ისინი ბოდიშს მოიხდიდნენ, ნაცვლად ამისა, მათი ირონიული ღიმილი მივიღეთ. ენას გვიყოფენ და ისევ შეურაცხყოფას გვაყენებენ. შესაბამისად, საზოგადოებაში ეს აგრესია კიდევ უფრო გაიზარდა. მოქალაქეებს ვურჩევ, ჩვენ მხოლოდ იუმორი გვიშველის, რადგან მათი გადაკეთება არ მოხდება. მათ შუბლის ძარღვი გაწყვეტილი აქვთ. ესენი მათ საკუთრებას, ნათელაშვილს ემსგავსებიან. ნათელაშვილს კი საჭიროების მიხედვით, როგორც ინსტრუმენტს ისე იყენებენ. ის ახლაც დარბის და სადაც გაფუჭებულს ნახავს, იმ წუთში ივანიშვილს ახსენებს. ნაციონალებმა იციან, რომ რუტინულად როცა იტყვი — ივანიშვილი ცუდია და ამას მეორედაც გაიმეორებ, საზოგადოება იჯერებს, მაგრამ ჩემ შემთხვევაში ეს არ იმუშავებს, თუ მომავალში რამე შეცდომას არ დავუშვებ. ასე რომ, რამდენიმე ნათელაშვილს ვიღებთ, შესაბამისად, მათდამი დამოკიდებულებაც უნდა შევცვალოთ.

— გარღვეულ ბიუჯეტთან დაკავშირებით რას იტყვით? 2004 წლის შემდეგ ბიუჯეტი ერთნახევარჯერ გაიზარდა, თქვენ რა მოლოდინი გაქვთ?

— შესაძლებელია, ნაციონალური მოძრაობის პერიოდში ბიუჯეტში ერთნახევარჯერ მართლაც გაიზარდა, რადგან რევოლუციის შემდეგ პირველი რეაქცია საკმაოდ ჯანსაღი იყო. ემიგრანტებს სამშობლოში დაბრუნების სურვილი გაუჩნდათ, თუმცა პროცესები როგორც განვითარდა, ყველამ ვიცით. თუ ყველაფერი კარგად წავიდა, შესაძლოა ორნიშნიანი ბიუჯეტი რამდენიმე წელიწადში მივიღოთ. სხვათა შორის, არ ვეთანხმები ირაკლი ღარიბაშვილს, რომელმაც განაცხადა, რომ ხელისუფლებას ეკონომიკური ვარდნა ჰქონდა. ყველაფერი აბსოლუტურად ჯანსაღი პროცესების გათვალისწინებით მოხდა. კარგად ვიცით, წლების განმავლობაში ბიუჯეტის შევსება ნაწილობრივ საპროცესო გარიგებებით ხდებოდა. ვიცით, როგორ აწიოკებდნენ მთელ მოსახლეობას, როგორ ართმევდნენ ქონებას..... ჩვენ მსგავსი მეთოდები საზოგადოებისთვის არ გვიკადრებია. ამიტომ ღარიბაშვილს გავაკრიტიკებდი იმის გამო, რომ არასწორი ტერმინი გამოიყენა. მას არ ვეთანხმები! ის მეთოდები, რითაც ბიუჯეტი ივსებოდა, ნაციონალურ მოძრაობასაც ამოწურული ჰქონდა. ბიზნესი პრაქტიკულად გამოწურული იყო. ხე რომ მიწაში წვეროთი დავრგოთ, ქართულ ეკონომიკაშიც დაახლოებით ასე ხდებოდა. ჩვენ ეს ხე გადმოვაბრუნეთ, ფესვები გავუჯანსაღეთ. ახლა დრო სჭირდება, რომ გაიზარდოს. როგორც ვიცი, ნაციონალურმა მოძრაობამ ხელისუფლებაში მოსვლიდან რამდენიმე წელიწადში იარაღის შესყიდვაზე 2 მილიარდ ევროზე მეტი დახარჯა. ალბათ, ახლა 200 მილიონის ღირებულების იარაღიც არ გვექნება და თავის გასამართლებლად გვეტყვიან, რომ ყველაფერი ომში განადგურდა. საზოგადოებამ არც კი იცოდა, რომ ქვეყანა კოლოსალურ თანხებს იარაღის შესყიდვაში ხარჯავდა. კეზერაშვილთან მიმართებაში კითხვები მეც გამაჩნია, თუმცა უდანაშაულობის პრეზუმპციას დავიცავ და დამნაშავის სტატუსს ჯერ არ მივანიჭებ. მიუხედავად ამისა, საფუძვლიანი ეჭვი გვაქვს, რომ ამ იარაღის შეძენის დროს ფული სხვა მიმართულებით წავიდა. როგორც წესი, იარაღით ვაჭრობისას ნარკოტიკების მსგავსად, თანხის დაახლოებით 2/3 მიდის „გვერდზე“ მიდის.

— თქვენ აცხადებდით, რომ საქართველოს ყოფილმა ხელისუფლებამ საზღვაო ფლოტიც გაანადგურა, ამასთან, საზოგადოებას დაპირდით, რომ სანაოსნო აღადგენდით და ფლოტის გადარჩენით ასეულობით სამუშაო ადგილი შეიქმნებოდა...

— საზღვაო ფლოტთან დაკავშირებით დღესაც იგივე დამოკიდებულება მაქვს. თუმცა ფლოტი იქნება მაშინ, როცა ხელისუფლება ამ მიმართულებით თანხების გადადებას შეძლებს. ალბათ, ახლა ნაციონალებს გაუხარდებათ და შემეკითხებიან, რატომ არ აღადგინეთ ფლოტიო... ბიუჯეტიდან თანხების განსაზღვრა სწორად უნდა მოხდეს. ვიმეორებ, სწორედ მსგავსი საკითხებია „მოქალაქის“ დაფუძნების პრინციპი. საზოგადოებამ კარგად და, რაც შეიძლება სწრაფად უნდა გაიგოს ხელისუფლების დაქირავების პროცესი. მთავრობის კონტროლი საზოგადოების ბიუჯეტის დაგეგმვაში აქტიურ მონაწილეობასაც გულისხმობს.

— მას შემდეგ, რაც პოლიტიკიდან წახვედით, ერთ-ერთი აქტუალური საკითხი ინვიტრო განაყოფიერებასთან დაკავშირებით საპატრიარქოს განცხადება გახდა. საინტერესოა, ამ მიმართულებით თქვენი პოზიცია.

— მეც შევდივარ საზოგადოების იმ ნაწილში, რომელიც საკუთარ ისტორიას, ტრადიციებს, საკუთარ ეკლესიასა და მართლმადიდებლობას უდიდეს პატივს სცემს. თვითონ პატრიარქსაც პატივს ვცემ და მასთან ძალიან თბილი ურთიერთობა მაქვს, ძალიან მიყვარს. მიუხედავად ამისა, მიმაჩნია, საზოგადოებამ უნდა გადალახოს ის ბარიერი, რომ ეკლესიის თემა ტაბუდადებულია და რაც იქ ითქმება, უმწიკვლო და ხელშეუხებელია. პატრიარქისა და ეკლესიის მსახურებისადმი დამოკიდებულება, ჩემი აზრით, ზედმეტად გაფეტიშებული და გადაჭარბებულია. ეს ასე არ უნდა იყოს. ამას არც პატრიარქი და არც ეკლესია საჭიროებს. ეკლესიაში არანაკლები პრობლემებია, ვიდრე საზოგადოებაში და ასეც უნდა იყოს, რადგან ეკლესიის მსახურებიც საზოგადოების ნაწილნი და ჩვენი თანამოქალაქეები არიან. ეკლესიის თემის ტაბუდადება, ჩემი აზრით, საზოგადოებისთვის შეურაცხმყოფელია. მათაც შეიძლება შეეშალოთ, ეკლესიაში გაუგებრობა და დარღვევებიც მოხდეს და არის კიდეც. ჩვენ ეს კარგად ვიცით. ასე რომ, თუ გინდათ, რომ უკეთესები გახდნენ, ამ თემებზე ხმამაღლა უნდა ვისაუბროთ. კრიტიკასა და მითითებას ისინიც საჭიროებენ. შესაძლოა პატრიარქმა საკუთარი აზრი ბრძანოს, მაგრამ ჩვენ არ გავიზიაროთ. ეს ნორმალურია, არ გვინდა ეს დოგმები. თუ გაიხსენებთ ისტორიას, ეკლესია წამლების წინააღმდეგიც იყო, თუმცა დღეს ყველა მშვენივრად წამლობს. როდესაც ცოლ-ქმარს საშუალება არა აქვს, შვილის გაჩენის, ამაში მედიცინა ერევა, ახალი სიცოცხლე ჩნდება და ალბათ, აქ საკამათო არაფერია. შესაძლოა კამათის თემა სუროგატი დედის ინსტიტუტი იყო, რაზეც კანონმდებლობაც დასახვეწია. ბევრი გაზარმაცებული ქალბატონია, რომელსაც შვილის გაჩენის ყველა საშუალება აქვს, მაგრამ ამის სურვილი არ გააჩნია. სხვათა შორის, ინვიტრო განაყოფიერების შესახებ საქართველოში გაგონილიც არ ჰქონდათ, როდესაც ჩემ ახლობელს ბავშვის გაჩენაში დავეხმარე. 10 წლის განმავლობაში ბავშვი არ უჩნდებოდათ, თუმცა ახლა ძალიან საყვარელი შვილი ჰყავთ.

— რაც შეეხება თქვენ მიერ დაფუძნებულ არასამთავრობო ორგანიზაციას... რატომ არ გაქვთ სურვილი, უკვე არსებული არასამთავრობო ორგანიზაციები დააფინანსოთ?

— ამ მიმართულებით ოდნავ განსხვავებული მიდგომა მაქვს და მიმაჩნია, რომ სამოქალაქო სექტორში მუშაობა და გრანტების მიღება ძირითადი შემოსავლების წყარო არ უნდა გახდეს. როგორც აღვნიშნე, სურვილის შემთხვევაში წლის განმავლობაში ახალი ორგანიზაცია 50 ათას ლარს მიიღებს, თუმცა მასში სპეციალისტები უნდა იყვნენ ჩართულნი. სამწუხაროდ, შეურაცხყოფას არ ვაყენებ, თუმცა ძირითადი ნაწილი სამოქალაქო სექტორში სწორედ ფინანსური ინტერესების გამო მოღვაწეობს. ჩვენი მიზანი იქნება, საზოგადოებას მედიის დახარისხების პროცესში დავეხმაროთ. არავინ იფიქროს, რომ მედიას დავაზიანებთ, პირიქით, ამ მიმართულებით მაღალი ხარისხის მქონე პროფესიონალები გვჭირდება, რადგან საზოგადოების განვითარებაში მედიას ლომის წილი აქვს.

— როცა ჟურნალისტების პროფესიონალიზმის დაბალ დონეზე საუბრობთ, უპრიანი არ იქნებოდა თანხები განათლების მიმართულებით ჩაგედოთ და თუნდაც სკოლა დაგეფინანსებინათ, ან კონკრეტულად, რა მეთოდით გეგმავთ საზოგადოების დონის ამაღლებას?

— განათლების მიმართულებით კონკრეტული პროექტი არ მაქვს, როგორც გითხარით, ჯერ სამუშაო პროცესში ვიმყოფებით და დეტალებზე მომავალში ჩამოვყალიბდებით. მოგეხსენებათ, სამოქალაქო საზოგადოების ხერხემალი პროფესიონალი ადამიანია, რომელსაც სამსახურის შეცვლა ნებისმიერ დროს შეუძლია და სახელმწიფოზე დამოკიდებული არ არის. ნაციონალებს ყველაფერი თავიანთ კონტროლზე ქონდათ და 10 ლარსაც კი თვითონ ანაწილებდნენ. ახალი ხელისუფლებაც გარკვეული პრობლემის წინაშე აღმოჩნდა... ის მხარდამჭერები, რომლებიც არჩევნების პროცესში აქტიურად გვეხმარებოდნენ, თუმცა სახელმწიფო სამსახურში ვერ დასაქმდნენ, განაწყენებულნი არიან. შესაძლოა რამდენიმე უსამართლობას ფაქტიც დაფიქსირდა, როცა ზოგიერთზე გამოუცდელი პიროვნება დასაქმდა, თუმცა ამას მასობრივი სახე არ ჰქონდა. მიუხედავად ამისა, ასეთ ადამიანებს ბოდიშსაც არ მოვუხდი.. თითოეულმა მათგანმა უნდა გააცნობიეროს, რომ სრულიად საზოგადოება სახელმწიფო სამსახურში ვერ დასაქმდება. ამისთვის ბიზნესის განვითარებაა აუცილებელი, რისთვისაც თავისუფალი გარემო უკვე შეიქმნას. სამწუხაროდ, ამ პრობლემის მოგვარება ორ-სამ წელიწადში შეუძლებელია. რაც შეეხება მედიამონიტორინგს, როცა საზღვარგარეთული ავტორიტეტული ორგანიზაციები ამ მიმართულებით კვლევებს გამოაქვეყნებენ და ჟურნალისტები მიხვდებიან, რომ ისინი ობიექტივის ქვეშ არიან, საკუთარ პროფესიასაც მეტი პასუხისმგებლობით მოეკიდებიან.

ბიზნესმენ ნატალი კვანტალიანის წარმატების საიდუმლო

რამდენჯერ დაიწყო ცხოვრება ნულიდან და როგორ შექმნა ბიზნესიმპერია ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის ყველაზე ახალგაზრდა აკადემიკოსმა

ნინო ლურსმანაშვილი
593-51-52-04

წლების წინ მისი ოჯახის წევრები, ალბათ, ვერც იფიქრებდნენ, რომ კოხტა, გრძელნაწნავიან, ნაზ გოგონას, ცხოვრება ათას ქარტეხილს მოუწყობდა, ის კი, ყველა მათგანს ღირსეულად შეხვდებოდა და წარმატებული ბიზნესმენიც გახდებოდა. ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის ყველაზე ახალგაზრდა აკადემიკოსი ნატალი კვანტალიანი დღეს რამდენიმე ათეულ კომპანიას უძღვება წარმატებით. ამბობს, რომ მის მიერ განხორციელებული ყველა პროექტი სოციალურია. „მინდა, ადამიანებს ცხოვრება გავულამაზო და ვასიამოვნო", — ცხოვრების წესად სიკეთის კეთება მას შემდეგ გაიხადა, რაც ბედისწერამ არაერთი ბარიერი შეუქმნა. წარმატებამდე დიდი და რთული გზა გაიარა — მუშაც იყო, მწვრთნელიც, ბერეტების მქსოველიც... იყო დრო, როცა მარტოხელა დედა, დამატებითი შემოსავლისთვის, ხელმძღვანელის თანამდებობასთან ერთად, თანამშრომლებისგან მალულად, დამლაგებლის საქმესაც ითავსებდა. ცხოვრება ნულიდან ბევრჯერ დავიწყეო, — მითხრა და ისიც გამიმხილა, რომ ყველა ჯერზე, წარმატებას ერთი, ყველაზე მთავარი მიზეზით მიაღწია — ნებისმიერ საქმეს გულით აკეთებს და ყველა დეტალს სიღრმისეულად სწავლობს. გამოცდაა ყველაფერი, მაგრამ მე რაღაც ძალიან ბევრი გამოცდა მომიწყო უფალმაო, — იხუმრა და თავადვე უპასუხა — არა უშავს, მთავარია, უფლის წყალობით, ყველა ღირსეულად ჩავაბარე. ღირსეულად ჩაბარებაში კი, უპირველესად, ოჯახისა და სახელის დაცვას გულისხმობს. ოჯახი — შვილი, სიძე და 4 შვილიშვილი კი, ნატალი კვანტალიანის ყველაზე დიდი სიმდიდრეა.

— დედა მედდა იყო, სამშობიაროში მუშაობდა, მამა — ავტოშემკეთებელი. მშობლების უნდოდათ, სამედიცინო ინსტიტუტში ჩამებარებინა და ექიმი გამოვსულიყავი. მუსიკაზეც მიმიყვანეს, მაგრამ ერთ დღეს, როცა დედას მუსიკის გაკვეთილზე ვეგონე, მძლეოსნობაში რაიონულ შეჯიბრზე გავიმარჯვე. ისეთი შედეგი დავდე, ყურადღება მივიქციე. დაიბარეს დედა სპორტკომიტეტში. არ ესიამოვნა — ქალი სპორტში მაშინ რაიონში მიუღებელი იყო. ლამის 2-თვიანი მოლაპარაკება დასჭირდათ ჩემი ოჯახის წევრებთან, თბილისში ჩემ გამოშვებას რომ დათანხმებოდნენ.

— თბილისში თავის დამკვიდრება არ გაგიჭირდათ?

— ძალიან რთული იყო. უცხო გარემო, ახალი ნაცნობები... ღმერთის წყალობით, კარგი მეგობრები შევიძინე. მაგალითად, მაია აზარაშვილი. ისე დავმეგობრდით, მასთან, გლდანში, ხშირად ვრჩებოდი. მაშინ ვერც კი წარმოვიდგენდით, რომ სწორედ გლდანში მომიწევდა პროექტის „თეთრი ტბა" განხორციელება. საბოლოოდ, 400 მეტრზე სირბილში სპორტის ოსტატობის კანდიდატი გავხდი. სამტრედიის სპორტისა და ტურიზმის განყოფილებაშიც ვმუშაობდი. საბჭოთა პერიოდში სწორედ სპორტის დამსახურებით გავცდი საზღვრებს — გერმანიაში წავედი. ვნახე, რომ იქ ჩემმა თანატოლებმა დროისა და ფულის ფასი იცოდნენ, რამაც ჩემს ფსიქოლოგიაში გარდატეხა მოახდინა... მოკლედ, სპორტმა ჩემ ცხოვრებაში ბევრი რამ განსაზღვრა.

— სპორტსმენობის პარალელურად, მშობლების ოცნების ახდენასა და ექიმობაზე არ გიფიქრიათ?

— მე-100 სკოლა წარჩინებით დავამთავრე. მაშინ ასეთი წესი იყო, სამედიცინოზე, თუ 5-ს მიიღებდი, მხოლოდ ერთ გამოცდას აბარებდი. სამწუხაროდ, ერთი გამოცდით ვერ ჩავირიცხე და იძულებული გავხდი, რაიონში დავბრუნებულიყავი. იმ პერიოდში შევქმენი ოჯახი. მაშინ „მოდაში" იყო მოტაცება და სამტრედია ამ მხრივ, გამორჩეულად აქტიურობდა. მშობლებს ამის შეეშინდათ. დედას ჩემი მომავალი მეუღლე უნახავს და მოსწონებია. დედამისს კი მე მოვეწონე და 2-3 თვეში, ისე მოახერხეს, ოჯახი შევქმენით. ერთმანეთს კარგად არც ვიცნობდით. არც მიყვარდა და გათხოვებაც არ მინდოდა.

— ოჯახისთვის წინააღმდეგობა არ გაგიწევიათ?

— არა. ოჯახის წინააღმდეგ წასვლა არ შემეძლო. პროტესტი, თანაც ჩემებური, მხოლოდ ერთხელ გამოვხატე — ერთ დღეს, ებრაელებში მიყიდეს ძვირფასი ქურქი, გამპრანჭეს და მითხრეს, კინოში ხარ დაპატიჟებულიო. კინოს ნაცვლად მეგობართან წავედი, ბლინები დავაცხვეთ, ბევრი ვიხალისეთ... კინოს დამთავრების დროს მივედი სახლში. დედამ გამომკითხა, ბიჭი როგორ მოგეწონაო. კინოც კარგი იყო, ბიჭსაც ჩემი დასაწუნი რა აქვს, უბრალოდ, რაღაც ცოტა მოწიფული აზრები აქვს-თქო. დედა გაბრაზდა. თურმე, კინოში რომ არ მივედი, ჩემ მომავალ მეუღლეს მძღოლი გამოუგზავნია ამბის გასაგებად. ამის მერე, დააჩქარეს მოვლენები — მეორე მოსვლაზე, უკვე ნიშნობის ბეჭედი მოიტანეს. ახალგაზრდები ოთახში მარტო რომ დაგვტოვეს, ვთხოვე, წინააღმდეგობას ოჯახს ვერ გავუწევ, გთხოვ, შენ თქვი ჩემზე უარი-თქო. ბედია, ალბათ, ყველაფერი. მითხრა, არა, ისეთ თვალზე შემოგხედეთ, თქვენ უნდა გახდეთ ჩემი მეუღლეო. ძალიან ცოტა ხანს ვიცხოვრეთ ერთად, ასე შექმნილი ოჯახი, ალბათ, დიდხანს ვერც გასტანდა. ძალიან სიმპათიური იყო. თანამდებობაც ჰქონდა... თუმცა მოხდა ასეთი რამ — სამტრედიაში ერთმა ექიმმა სისხლის გათეთრების დიაგნოზი დამისვა. ვნერვიულობდი, ყველა დარდს გულში ვიკლავდი და, ალბათ, ეს იყო ჩემი ავადმყოფობის მიზეზი. ღმერთის წყალობით, დიაგნოზი არ გამართლდა, მაგრამ სანამ ყველაფერი გაირკვეოდა, ალბათ, ამანაც იმოქმედა ჩვენი ოჯახის დანგრევაზე. დავრჩი სამი თვის შვილით მარტო და დავფიქრდი, როგორ უნდა მეცხოვრა მარტო, როგორ გამეზარდა ნათია და დამეწყო ყველაფერი თავიდან. ოჯახის შექმნაზე აღარასოდეს მიფიქრია. თითქოს საკუთარ თავს არ ვეკუთვნოდი. მხოლოდ იმაზე ვფიქრობდი, როგორ მეარსება.

— ბიზნესის კეთების იდეა ამიტომ გაგიჩნდათ?

— ბიზნესის კეთებამდე ურთულესი გზა გავიარე. სამტრედიაში ჩემმა ყოფილმა მასწავლებლებმა შემომთავაზეს, სპორტკომიტეტში მწვრთნელად მემუშავა. დროთა განმავლობაში დამაწინაურეს. როცა ხელმძღვანელი გავხდი, მეტი შემოსავალი რომ მქონოდა, დამლაგებლის ადგილსაც ვითავსებდი, ოღონდ ჩუმად. დილას ბავშვს სახლში ვტოვებდი, გავრბოდი, სანამ თანამშრომლები მოვიდოდნენ, ვალაგებდი. მერე სახლში ვბრუნდებოდი, ბავშვი ბაღში მიმყავდა და უკვე როგორც ხელმძღვანელი, ისე მივდიოდი სამსახურში. ჩემ მდივანს სულ აინტერესებდა დამლაგებლის ნახვა. ეს ადგილი აშკარად თვითონ უნდოდა. ერთხელ ნათია ავად გამიხდა და ვერ დავალაგე. მაშინვე გაამახვილა ამაზე ყურადღება. დავპირდი, თუ ასეთი რამ განმეორდა, გავუშვებ და მის ადგილს დაგითმობ-თქო. მოგვიანებით, სპორტისა და ტურიზმის განყოფილება შეიქმნა, სადაც განყოფილების ხელმძღვანელის გადაწყვეტილებით, უნდა მემუშავა. თანამშრომლებმა მოკრძალებული ბანკეტი მომიწყვეს. ჩემმა მდივანმა თქვა, დღეს მაინც რატომ არაა აქ დამლაგებელიო. მაშინ ვეღარ შევიკავე თავი, ცრემლი მომერია, ჭიქა ავიღე და ვთქვი, მოდი, იმის სადღეგრძელო შევსვათ, ვინც ერთდროულად თქვენი დამლაგებელიც იყო და ხელმძღვანელიც-თქო... რამდენი რამ გამიკეთებია ასე ჩუმად, ლუკმა-პურის ფულის საშოვნელად, ვინ იცის. ბერეტებსაც ვქსოვდი და ვაბარებდი, მუშადაც ვმუშაობდი... 90-იან წლების დასაწყისში, როცა ფაბრიკა-ქარხნები გაჩერდა, ზუგდიდსა და მის მიმდებარე სოფლებში თხილს ვყიდულობდი, სატვირთო მანქანებით კულაშში ჩამქონდა. მთელი სოფელი თხილს ტეხდა, ნაჭუჭს შეშად იყენებდა, დარჩეულ თხილს ვაბარებდი. ამ ფულით ზეთსა და მაკარონს ვყიდულობდი. 2 წელი ჩემს სოფელს თავი ასე გაჰქონდა. სხვათაშორის, ებრაელები კულაშიდან ჩემი მანქანით გავიყვანე და ამის გამო, „სხვა ქვეყნის წმინდა შვილი" მიწოდეს — საქართველოში ეს წოდება მხოლოდ მე მაქვს. კულაში რომ ხალხისგან დაიცალა, თბილისში მაშინ გადმოვედი ჩემს გოგონასთან და ავადმყოფ მამასთან ერთად, რომელიც მალევე გარდაიცვალა.

— და ბიზნესი უკვე თბილისში ააწყვეთ, არადა საამისოდ, თბილისში, 90-იან წლებში, ყველაზე შეუფერებელი გარემო იყო.

— დიახ. ასე იყო. მაშინ ვერც წარმოვიდგენდი, რომ წლების მერე ასეთ სერიოზულ პროექტებს განვახორციელებდი. თავიდან, იტალიურ ეზოში, 16 კვ.მ-ში ვცხოვრობდი... მძიმე წლები იყო. ერთხელ, ახლობლებთან ერთად, ინდოეთში წავედი. დელიში, ერთ-ერთ მაღაზიაში, მარგალიტის მძივები 70-80 დოლარად ვნახე. საქართველოში ასეთში 150 დოლარი უნდა გადაგეხადა. საბოლოოდ, ინდუსების დახმარებით, მძივები 10-12 დოლარად შევიძინე, სულ 125 დოლარი დამიჯდა. ჩამოვიტანე თბილისში. ჩემს მეგობრებს, გარკვეული გასამრჯელოს ფასად, ავაკინძვინე მძივებად და სწორედ ასე ნაშოვნი ფულით გავხსენი სამკერვალო. ინდოეთიდან და დუბაიდან ქსოვილი იაფად ჩამომქონდა, კაბებს ვკერავდი და ლილოში ვაბარებდი. ასე დავიწყე ბიზნესი და დღეს უკვე რამდენიმე ათეულ კომპანიას ვხელმძღვანელობ — სამრეწველო, სამედიცინო, სოფლის მეურნეობის სფეროებში. ბედნიერი ვარ, რომ რასაც ხელი მოვკიდე, ყველაფერი გამომივიდა და ყველა საქმე ბოლომდე მივიყვანე.

— ამის მიზეზი რა არის, რა არის ნატალი კვანტალიანის წარმატების საიდუმლო?

— სიმართლის ფორმულა — მთავარია, ბიზნესში სუფთად ითამაშო და გულით აკეთო საქმე. ყველა კომპანიას თავად ვხელმძღვანელობ, ყველა დეტალი სიღრმისეულად მაქვს შესწავლილი და ყველა საქმე მიყვარს.

— ბიზნესის კეთება საქართველოში არასოდეს ყოფილა იოლი, თქვენ რა სირთულეები შეგხვდათ ხელისუფლებისგან?

— ყველა დროში სხვადასხვა ხერხით გვებრძოდნენ. ადრე იყო დაყაჩაღება, მერე მეთოდები შეიცვალა... ყველაზე მტკივნეული ბრძოლის ის მეთოდი იყო, რომელმაც არც ისე დიდი ხნის წინ იჩინა თავი — ჩემი ბიზნესის გამო ჩემი სიძე დაზარალდა. საქართველოში საერთოდ არმყოფს, რაღაცები შეუთითხნეს და დააბრალეს. თან ისე მოაწყვეს ყველაფერი, ხმა რომ ამომეღო, შეეძლოთ ქვეყნის მტრად გამოვეცხადებინე, არ ამოვილებდი ხმას და ბიზნესს დავკარგავდი. გადაწყვეტილება მივიღე — უფალს მივენდე და არ ვუღალატე ჩემ ერთადერთ სიმდიდრეს, ოჯახსა და სახელს. შევაქციე ბიზნესს ზურგი, ვიფიქრე, ჩემი შექმნილია, ათასჯერ დამიწყია ცხოვრება ნულიდან და ამის მერეც დავიწყებ-მეთქი. უფლის წყალობით, სიმართლე გამოაშკარავდა, ყველაფერი თავის ადგილას დალაგდა, ეს ყველაფერი კი ჩემი ოჯახის ყველა წევრს ნერვების ფასად დაუჯდა, თუმცა ესეც გამოცდაა, რომელიც ჩემმა ოჯახმა ჩააბარა.

— ამდენი კომპანიის მართვასთან ერთად, შვილიშვილებთან თამაშს, სამზარეულოში ფუსფუსს ხშირად ახერხებთ?

— ჩემი შვილი ნათია ყველგან და ყველაფერში ჩემი მარჯვენა ხელია. ჯერ კიდევ პატარა, საოჯახო საქმეებს უძღვებოდა და მიმსუბუქებდა მძიმე ყოფას. ჩემი 4 შვილიშვილი ყოველდღე რომ არ ვნახო, არ შემიძლია. მათ გარეშე ცხოვრება არ შემიძლია. სამზარეულოში ფუსფუსის რა მოგახსენოთ, გემრიელი კერძები გამომდის და, ზოგადად, ყველაფერი მეხერხება — კარგად ვკერავ, ვქარგავ, ვქსოვ... მაგრამ ამისთვის დრო ნაკლებად მრჩება. სიმართლე გითხრათ, თუ ოჯახის წევრებთან ურთიერთობით არ ვტკბები, საქმეში ვარ ჩაფლული — ალბათ იმიტომ, რომ საკუთარ თავთან მარტო დარჩენა არ მსურს, ამიტომაა, ხშირად იმაზე მეტს ვმუშაობ, ვიდრე საჭიროა და ალბათ ესეცაა ერთ-ერთი მიზეზი, რომ ამდენ კომპანიას წარმატებით ვუძღვები. ყველა სირთულე, რისი გადალახვაც მომიწია, ალბათ უფლის გამოცდა იყო. ზოგჯერ ვხუმრობ, რაღაც ძალიან ბევრი გამოცდის ჩაბარება მომიწია-თქო, მაგრამ... დიდება უფალს, ალბათ, ცხოვრების ეს გზა რომ არ გამევლო, ისეთი არ ვიქნებოდი, როგორიც ვარ და ამხელა წარმატებასაც, ალბათ ვერ მივაღწევდი.

ბიუჯეტის თანხების ღამის კლუბში გაფლანგვის გამო, სერგო ქავთარაძეს ბრალი წაუყენეს

„ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდის“ ყოფილი თავმჯდომარე, ამჟამად, მიმალვაში მყოფი სერგო ქავთარაძე, ბრალდებულის სახით, სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიეცა.

პროკურატურის განცხადებით, გამოძიებით დადგინდა, რომ 2010 წლის აპრილ-მაისში ქ. თბილისის მერიის მიერ დაფუძნებული ააიპ „ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდის“ თანამშრომლები ღამის კლუბ „დივაში“ იმყოფებოდნენ, სადაც მათ მიერ, გართობის მიზნით, მართლსაწინააღმდეგოდ გაიხარჯა საერთო ჯამში 5 129,45 ლარი.

საგამოძიებო უწყების ცნობით, მოგვიანებით, გაფლანგული თანხების საწარმოს ბუღალტერიაში ასახვისა და მისთვის კანონიერი სახის მისაცემად, ააიპ „ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდის“ გამგეობის თავმჯდომარის, სერგო ქავთარაძის დავალებით, ღამის კლუბ „დივადან“ გამოთხოვილ იქნა შესაბამისი დოკუმენტაცია (ინვოისები, საგადასახადო ანგარიშფაქტურა), რისი მეშვეობითაც უკანონოდ გახარჯული თანხები საწარმოს წარმომადგენლობით ხარჯებში გატარდა.

„ამ გზით, სერგო ქავთარაძის მიერ სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, არამიზნობრივად და ფონდის მიზნების საწინააღმდეგოდ, ღამის კლუბ „დივაში“ გართობისთვის გაფლანგული იქნა ააიპ „ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდის“ კუთვნილი ფულადი თანხები, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია“, — აცხადებენ უწყებაში.

სერგო ქავთარაძეს ბრალდება წარედგინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით, რაც თავისუფლების აღკვეთას 4 - დან 7 წლამდე ვადით ითვალისწინებს.

„ინტერპრესნიუსი“

ნიკოლოზ მჟავანაძე: „თბილისს უწყლობა ემუქრება“

უფლებადამცველთა გაერთიანების თავმჯდომარის ნიკოლოზ მჟავანაძის განცხადებით, თბილისს უწყლობა ემუქრება. ამის მიზეზად იგი „თბილისის წყლის“ მიერ ქსელების სარეაბილიტაციო სამუშაოების შეუსრულებლობას ასახელებს. მჟავანაძის თქმით, როდესაც კომპანია „თბილისის წყალი“ გაიყიდა, ცნობილი გახდა, რომ იგი ოფშორში დარეგისტრირებულმა კომპანიამ იყიდა, რომლის კვალიც რუსეთისკენ მიდის.

„შემდგომში ეს როგორ გაიყიდა ცალკე საუბრის და გამოძიების თემაა. სანამ ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკაში მოვიდოდა, საუბრობდნენ იმაზეც, რომ თითქოს ის აპირებდა ამ კომპანიის ყიდვას. კორუფციულ სქემაზე საუბრობდნენ მაშინ ახლანდელი ხელისუფლების წარმომადგენლები, მათ შორის თინა ხიდაშელიც. ცნობილი გახდა, რომ როდესაც კომპანია გაიყიდა, ოფშორში დარეგისტრირებულმა კომპანიამ იყიდა, რომლის კვალიც რუსეთისკენ მიდის. რეალურად გამოდის, რომ „თბილისის წყალს“ რუსეთი აკონტროლებს. კომპანიას შეუსრულებელი აქვს მთელი რიგი ვალდებულებები. კერძოდ, არც მილები გამოუცვლია, გამრიცხველიანებაც არ მომხდარა და არც ტარიფი შემცირებულა. 60 წელზე მეტი ხნის მილებია, რაც გამოცვლას საჭიროებს, წინაააღმდეგ შემთხვევაში, მთელი რიგი პრობლემები იჩენს თავს. გარდა იმისა, რომ შენობა-ნაგებობების ჩამონგრევის საფრთხე დგას, თბილისს უწყლობა ემუქრება. პანტა-პუნტით რომ სკდება მილები, თქვენი აზრით, რისი ბრალია?! ამ მილებმა თავისი დრო მოჭამა! თბილისის თითქმის ყველა კორპუსი წყალზე დგას. ყოველ კვირას ხან რომელ უბანში არაა წყალი, ხან რომელში. გარწმუნებთ, ამის მიზეზი სწორედ „თბილისის წყლის“ მიერ შეუსრულებელი ვადლებულებებია!“

„ექსპრესნიუსი“

„ტრაქტორების საქმეზე“ პროკურატურამ სარჩელი გაითხოვა

დაბრუნდება თუ არა საჯარო სამსახურში დავით კირვალიძე და დადგება თუ არა ლაშა ნაცვლიშვილისა და გელა ხვედელიძის პასუხისმგებლობის საკითხი?



მაია მიშელაძე
593-51-90-12

საქართველოს მთავარმა პროკურატურამ სოფლის მეურნეობის მაღალჩინოსნების წინააღმდეგ სარჩელი სასამართლოდან უკვე გაიტანა. სამშაბათს, 4 თებერვალს, თბილისის საქალაქო სასამართლოში გამართულ პროცესზე, პროკურატურის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა და „ტრაქტორების საქმეზე“ ბრალდებულ პირებს სისხლის სამართლის კოდექსის (სსკ) 182-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული, რაც დიდი ოდენობით თანხის გაფლანგვას გულისხმობს, ბრალდება მოეხსნათ. ბრალდებულების ადვოკატმა, სოსო ბარათაშვილმა „ვერსიასთან“ საუბრისას აღნიშნა, რომ პროკურატურამ განრიდება განახორციელა და სარჩელი გაითხოვა. ეს იმას ნიშნავს, რომ „ტრაქტორების საქმეზე“ არანაირი განჩინება არ დადგება და არცერთი ბრალდებული არ დაისჯება.

„ტრაქტორების საქმეს“ საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრი, ბიძინა ივანიშვილიც გამოეხმაურა, რომელმაც არასამთავრობო ორგანიზაცია „მოქალაქე“ შექმნა და სამშაბათს, პრესკონფერენცია გამართა. ჟურნალისტის კითხვაზე, იკვეთება თუ არა პროკურატურის შეცდომა „ტრაქტორების საქმეში“, რადგან მთავარმა ბრალმდებლებმა სარჩელი გაიხმეს და რის გამოც თავის დროზე, სოფლის მეურნეობის მაშინდელმა მინისტრმა, დავით კირვალიძემ თანამდებობა დატოვა, ბიძინა ივანიშვილმა უპასუხა:

„სწორედ ეს არის ახალი ხელისუფლების ის დამოკიდებულება, რასაც ყოველთვის ვამბობდი, ეს საქმე კარგი მაგალითია, თუ როგორი დამოკიდებულება ჰქონდა ხელისუფლებას ნებისმიერ დარღვევასთან დაკავშირებით. თუ მინისტრის მიმართ არსებობს ეჭვი და დავით კირვალიძე ძალიან კულტურულად მოიქცა მაშინ, რადგან წინააღმდეგობა არ გაუწევია და გადადგა. ფიზიკის კანონია, რომ არაფერი იკარგება და არც ეს დაიკარგება. რა თქმა უნდა, მეც ძალიან დიდი პრობლემები მქონდა, ძალიან ვნერვიულობდი მაშინ, კირვალიძეც ნერვიულობდა. თუ ეს საქმე მართლაც ასე დასრულდა, მხოლოდ მისასალმებელი და კარგია. ორი სახელმწიფო უწყება — მთავარი პროკურატურა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო იყო გარეული ამ საქმეში, მაგრამ ჩემთვის სასურველი იყო, სოფლის მეურნეობის სამინისტრო გამომდგარიყო ამ საქმეში უმწიკვლო და მართალი. არ ვიცი, როგორ დასრულდა ეს ყველაფერი, მაგრამ ვიდრე პრემიერ-მინისტრი ვიყავი, მქონდა ინფორმაცია, რომ ამ საქმეში კორუფცია არ მტკიცდებოდა, შეცდომები იყო, რაც კირვალიძემაც აღიარა ჩემთან შეხვედრის დროს. მართალია, შეცდომები იყო, მაგრამ ჯანსაღი რეაქცია გვქონდა, სწორედ ეს გვინდა მომავალშიც და ამ მაგალითს ხშირად ვიყენებდი ევროპელებთან შეხვედრების დროსაც. ჩემთვის კირვალიძე ფავორიტი მინისტრი იყო, მაგრამ არავინ დავინდეთ, გელა ხვედელიძე წინასაარჩევნო პერიოდში შტაბის უფროსი იყო, მაგრამ არც ის დავინდეთ. ჩემი და კირვალიძის დამოკიდებულება სწორი იყო და ასე იქნება მომავალშიც. ეს არის კარგი მაგალითი იმისა, თუ როგორ უნდა ვიცხოვროთ, რადგან საზოგადოებაში არ უნდა გაჩნდეს ეჭვი, რომ საერთო ქონებით, შესაძლოა, მინისტრმა ხელები მოითბოს“.

იმავე დღეს, „ტრაქტორების საქმესა“ და სასამართლოში შუამდგომლობასთან დაკავშირებით, მთავარმა პროკურატურამ განცხადება გაავრცელა. მართალია, ბრალდებულებს დიდი ოდენობით სახელმწიფო სახსრების გაფლანგვა აღარ ედებათ ბრალად, მაგრამ ძალაში დარჩა სსკ-ს 332-ე მუხლის პირველი ნაწილით წაყენებული ბრალი, რაც მოხელის მიერ, უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებას გულისხმობს:

„2014 წლის 4 თებერვალს, საქართველოს მთავარმა პროკურატურამ „ტრაქტორების საქმეზე“, ბრალდებულების განცხადების საფუძველზე, ბრალდებულებისათვის წარდგენილი ბრალდების დაზუსტებისა და განრიდების მოტივით საქმის გამოთხოვის თაობაზე, თბილისის საქალაქო სასამართლოს შუამდგომლობით მიმართა. თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ, მთავარი პროკურატურის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა, საქმეზე ყველა ბრალდებულს დაუზუსტდა ბრალი მხოლოდ სსკ-ს 332-ე მუხლის პირველი ნაწილით, რაც გულისხმობს მოხელის მიერ უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებას. ასევე საქმე დაბრუნდა პროკურატურაში ბრალდებულების განსარიდებლად. უახლოეს დღეებში, საქართველოს მთავარი პროკურატურის მიერ, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 168-ე პრიმა და 168-ე მეორე პრიმა მუხლების შესაბამისად, მიღებული იქნება გადაწყვეტილება ბრალდებულების განრიდების შესახებ“.

2013 წლის 1 მაისს, საქართველოს მთავარი პროკურორის პირველმა მოადგილემ, ლაშა ნაცვლიშვილმა, სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცალკეული თანამდებობის პირების მიერ, სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ფაქტზე, სისხლის სამართლის საქმის გამოძიება, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ანტიკორუფციული სააგენტოს საგამოძიებო მთავარ სამმართველოს დაავალა, რომელსაც შინაგან საქმეთა მინისტრის მაშინდელი პირველი მოადგილე, გელა ხვედელიძე კურირებდა. „ტრაქტორების საქმის“ სკანდალურ დეტალებზე „ვერსიაში“ არაერთი ჟურნალისტური გამოძიება გამოქვეყნდა, სადაც საქმეში არსებული მოწმეთა ჩვენებები, სოფლის მეურნეობის სამინისტროს მაღალი თანამდებობის პირების დაშიფრული სატელეფონო საუბრები, კომპეტენტური და სანდო წყაროების ინფორმაციები, ადვოკატების, ექსპერტების, საპირისპირო მხარისა და უშუალოდ ბრალდებულების პოზიციები ექსკლუზიურად გამოვაქვეყნეთ.

„ვერსიის“ ჟურნალისტური გამოძიების, ადვოკატების, სანდო წყაროებისა და საქმეში არსებული ოფიციალური მასალების მიხედვით, „ტრაქტორების სკანდალში“ საერთოდ არ იკვეთებოდა არც კორუფციის ნიშნები, რაც მოგვიანებით, ექსპრემიერმა, ბიძინა ივანიშვილმაც დაადასტურა, არც დიდი ოდენობით საბიუჯეტო სახსრების გაფლანგვა და არც თანამდებობის პირების მიერ, ექსპერტებზე ზეწოლის ფაქტები. სხვათა შორის, პირველივე გამოძიების შემდეგ, ერთ-ერთი ექსპერტი, ომარ (დავით) ბედია, რომლის ჩვენებასაც პროკურატურა ეყრდნობოდა, თვითონ დაგვიკავშირდა და ექსკლუზიური ინტერვიუ მოგვცა. ომარ ბედიამ „ვერსიას“ განუცხადა, რომ პროკურატურამ მისი ჩვენება შეცვალა და რომ ამ საქმეში საერთოდ არ იკვეთებოდა ის ბრალეულობა, რის გამოც სოფლის მეურნეობის სამინისტროს მაღალი თანამდებობის პირები და მოხუცი პროფესორები ციხეში ჩასვეს.

ასეა თუ ისე, „ტრაქტორების“ გახმაურებული და სკანდალური საქმე მაინც წარმატებით დასრულდა, მიუხედავად იმისა, რომ პროკურატურამ მოხელის მიერ, უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების მუხლი ძალაში დატოვა. მთავარია, რომ ღვაწლმოსილ აკადემიკოსებს, პროფესორებს პროკურატურამ ბრალდება მოუხსნა და მათ მიმართ კითხვები არ აქვს. მთავარი კითხვა — იკვეთება თუ არა „ტრაქტორების საქმეში“ პროკურატურის შეცდომა, კვლავ ძალაში რჩება და ვფიქრობთ, ამ კითხვას ისევ პროკურატურამ უნდა გასცეს პასუხი. შესაბამისად, ლეგიტიმური და განსაკუთრებით აქტუალურია კითხვა — დადგება თუ არა ლაშა ნაცვლიშვილისა და გელა ხვედელიძის პასუხისმგებლობის საკითხი „ტრაქტორების“ სკანდალურ საქმესთან დაკავშირებით?!

დიდი პრემიები იუსტიციის სამინისტროში

ეთერ თურაძე
გაზეთი „ბათუმელები“

იუსტიციის სამინისტროს აპარატში, პრემიის სახით, თანამდებობის პირებმა 2013 წლის დეკემბერში ხელფასის სამმაგი ოდენობა აიღეს. მაგალითად, მინისტრის პირველი მოადგილის, ალექსანდრე ბარამიძის მიერ დეკემბერში მიღებული პრემია — 7 950 ლარი, საქართველოში დადგენილი საარსებო მინიმუმის სტანდარტით, ერთ თვეში 51 მოქალაქისთვის იქნებოდა საკმარისი.

პრემიები იუსტიციის სამინისტროს ცენტრალურ აპარატში

იუსტიციის სამინისტროს აპარატში სულ 316 ადამიანი მუშაობს. მათგან თანამდებობაზე მყოფი 36 პირის პრემიისთვის დეკემბერში 194 492 ლარია დახარჯული, ანუ თითოეულ მათგანს, საშუალოდ, 5 ათასი ლარი აქვს მიღებული. სხვა, 279 თანამშრომელს, ბიუჯეტიდან 248 435 ლარი, ანუ საშუალოდ, 890 ლარი შეხვდა. ინფორმაცია იმის შესახებ, რომ იუსტიციის სამინისტროს აპარატის მაღალი თანამდებობის პირებმა დეკემბერში სამმაგი, ხოლო რიგითმა თანამშრომლებმა მხოლოდ ხელფასის ოდენობის პრემია მიიღეს, „ბათუმელებს“, თავდაპირველად, იუსტიციის სამინისტროს რიგითმა თანამშრომლებმა მოაწოდეს. როგორც იუსტიციის სამინისტროს მიერ „ბათუმელებისთვის“ მოწოდებული 80-გვერდიანი დოკუმენტი ცხადყოფს, ინფორმაცია თანამდებობის პირების მიერ ხელფასის სამმაგი ოდენობის პრემიების სახით მიღების შესახებ, დასტურდება. დოკუმენტის მიხედვით, მაგალითად, დეკემბერში ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსს, გოგა გუგავას, პრემიის სახით 7 340 ლარი აქვს მიღებული, ხოლო ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსს ირაკლი მჟავანაძეს — 7170 ლარი. ეს თანხა მათ ხელფასს სამჯერ ნამდვილად აღემატება — შესაბამისი ბრძანების მიხედვით, დეპარტამენტის უფროსის ხელფასი იუსტიციის სამინისტროში 2170 ლარია.

„ბათუმელების“ მიერ საჯარო სამსახურებიდან მოპოვებული დოკუმენტების შედარების საფუძველზე, თავისუფლად შეიძლება თქმა, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს თანამშრომლებს, სხვა ყველა უწყების თანამშრომლებთან შედარებით, გაცილებით მაღალი პრემიები აქვთ მიღებული. ასე, მაგალითად, ქვეყნის ყოფილ მთავარ პროკურორს, არჩილ კბილაშვილს, მთავარ პროკურორად მუშაობის დროს ყოველთვიურად, პრემიის სახით, მიღებული აქვს 5870 ლარი. ქვეყნის პროკურორზე მაღალი პრემია დეკემბერში იუსტიციის სამინისტროს ყველა დეპარტამენტის უფროსს აქვს მიღებული. მაგალითად, პრესასა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსს, მარიამ სხილაძეს პრემიის სახით 6040 ლარი აქვს მიღებული, ისე, როგორც მის კოლეგას, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სასამართლოებში სახელმწიფო წარმომადგენლობის დეპარტამენტის უფროსს, ლევან მესხორაძეს. ამაზე დაბალი პრემია იუსტიციის სამინისტროს არც ერთი დეპარტამენტის უფროსს არ აქვს გასული წლის დეკემბერში მიღებული. სამინისტროში სულ ათი დეპარტამენტია. დეკემბერში პრემიები იუსტიციის სამინისტროს შტატგარეშე თანამშრომლებმაც მიიღეს, სულ 50 360 ლარი. „ბათუმელებისთვის“ უცნობია, რამდენი შტატგარეშე თანამშრომელი ჰყავს იუსტიციის სამინისტროს. დეკემბერში პრემიის სახით 6720 ლარი მიღებული აქვს თეა წულუკიანის სამ მოადგილეს (მინისტრს სულ ოთხი მოადგილე ჰყავს), ხოლო მინისტრის პირველი მოადგილის პრემია - 7950 ლარია. რა დამატებითი სამუშაოს შესრულებისთვის მიიღო პრემია - 7950 ლარი იუსტიციის მინისტრის პირველმა მოადგილემ? - ამ კითხვით „ბათუმელებმა“ თავად ალექსანდრე ბარამიძეს მიმართა. მინისტრის მოადგილემ სატელეფონო კომენტარში განაცხადა: **„ახლა მოგიყვეთ დეკემბრის თვეში რა გავაკეთე? არა მგონია, ტელეფონით შევძლო ეს. რადგან მინისტრმა გამოწერა პრემია, ეს იმას ნიშნავს, რომ მან ჩათვალა, რაღაც გავაკეთე. საკუთარი თავის შეფასება არ შემიძლია. დიდი ბოდიში, მაგრამ ახლა შეხვედრაზე ვარ, მეტს ვეღარ გავაგრძელებ საუბარს“.** სანდრო ბარამიძის განმარტებით, რაც ასევე სამინისტროდან მოწოდებული დოკუმენტითაც დასტურდება, იუსტიციის მინისტრ თეა წულუკიანს არც დეკემბრის თვეში და არც სხვა პერიოდში, საკუთარი თავისთვის პრემია არ გამოუწერია.

აქვს თუ არა სამინისტროს ფორმულა, რასაც თანამშრომლებზე პრემიების გამოწერის დროს ეყრდნობიან? - ამ საკითხის გასარკვევად ალექსანდრე ბარამიძე გვირჩევს სამინისტროს ეკონომიკურ დეპარტამენტს მივმართოთ. იუსტიციის სამინისტროდან მიღებული დოკუმენტების მიხედვით, გასულ წელს ამ სამინისტროსა და მასში შემავალი 11 სსიპ-ის თანამშრომლების პრემიებისთვის ჯამში 11 533 011 ლარი დაიხარჯა. დოკუმენტის მონაცემებით, ამ მიზნით ბიუჯეტიდან დაიხარჯა 2 619 295 ლარი, ხოლო სხვა თანხა — ანუ 8 913 716 ლარი უწყებას თანამშრომლების პრემიებისთვის საკუთარი შემოსავლებიდან დაუფარავს.

საჯარო რეესტრი

იუსტიციის სამინისტროს 11 სამსახური აქვს, ერთ-ერთი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოა. ამ უწყების თანამშრომლების პრემიებისთვის გასულ წელს 2 918 310 ლარი დაიხარჯა. დოკუმენტში წერია, რომ პრემიები სრულად "საკუთარი შემოსავლებიდან" იქნა დაფინანსებული. საჯარო რეესტრის სერვისით სარგებლობისთვის მოქალაქეები სერვისის შესაბამის თანხას იხდიან. თანხა სხვადასხვა მომსახურებაზე სხვადასხვაა. საჯარო რეესტრის ხელმძღვანელს, პაპუნა უგრეხელიძეს გასული წლის დეკემბერში პრემიის სახით 2350 ლარი აქვს მიღებული. იუსტიციის სამინისტროს მიერ „ბათუმელებისთვის“ მოწოდებული დოკუმენტის თანახმად, საჯარო რეესტრი არ არის ის უწყება, სადაც პრემიები თანამდებობის მიხედვით ნაწილდება. დეკემბრის თვეში ყველაზე მაღალი პრემია — 15 378 ლარი ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის უფროსს აქვს მიღებული. ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის პროგრამისტის პრემიის გრაფაში კი, 13 860 ლარი წერია. სამსახურის უფროსი პროგრამისტის პრემიამ დეკემბერში 14 982 ლარი შეადგინა. სამსახურის რიგით პროგრამისტებს 12 400 ლარზე ნაკლები პრემია დეკემბრის თვეში მიღებული არ აქვთ. ყველაზე დაბალი პრემია — 600 ლარი ტყიბულის სარეგისტრაციო სამსახურის სპეციალისტს აქვს მიღებული. სხვა თანამშრომლებთან შედარებით, მაღალი პრემიები ტექნოლოგიებთან დაკავშირებულ მოხელეებს აქვთ მიღებული. საჯარო რეესტრში სულ 1041 ადამიანი მუშაობს.

აღსრულების ეროვნული ბიურო

ამ უწყებას, სადაც 334 ადამიანი მუშაობს, შარშან პრემიებისთვის 1 766 257 ლარი აქვს დახარჯული. პრემიებისთვის გახარჯული თანხის დიდი ნაწილი დაწესებულებამ საკუთარი შემოსავლებიდან გასცა, ბიუჯეტიდან ამ მიზნით მხოლოდ 585 984 ლარია დახარჯული. დოკუმენტში ჩანს, რომ პრემიები თანამდებობების მიხედვით არც ამ უწყებაში ნაწილდება. მაგალითად, თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელს, ვლადიმერ გურგენიძეს, დეკემბერში 1725 ლარი აქვს მიღებული პრემიის სახით. გაცილებით მაღალი პრემიები აქვთ მიღებული სამსახურის უფროსებს, ზოგს 3 180, ზოგს 3840 ლარი. განსაზღვრული პრემიები დეკემბერში მიღებული აქვთ ამ უწყების მძღოლებსაც 1300-დან 1500 ლარამდე, ხოლო შტატგარეშე მომუშავე მძღოლებს 750-მდე ლარი. ყველაზე დაბალი პრემია 397 ლარი ამ უწყებაში მიღებული აქვს დამლაგებელს.

სამოქალაქო რეესტრი

სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს პრემიებისთვის შარშან 2 980 325 ლარი აქვს დახარჯული. ოფიციალურ დოკუმენტში წერია, რომ ზემოთ ჩამოთვლილი უწყებების მსგავსად, პრემიებში თანხა სრულად საკუთარი შემოსავლებიდან დაუხარჯია. უწყების ხელმძღვანელს, ლევან სამადაშვილს შარშან დეკემბერში პრემიის სახით 3125 ლარი აქვს მიღებული. ამ უწყების პრემიებთან დაკავშირებული დოკუმენტი კიდევ ერთ მნიშვნელოვან ინფორმაციას შეიცავს: დეკემბერში შტატით გათვალისწინებულ თანამშრომლებს პრემიის სახით ერთ მილიონზე ცოტა მეტი თანხა აქვთ მიღებული, ხოლო შტატგარეშეებს — ნახევარ მილიონ ლარზე ცოტა მეტი. იმის გათვალისწინებით, რომ შტატის თანამშრომლებზე იუსტიციის სამინისტრო ორ და ზოგ შემთხვევაში, სამჯერ მეტ პრემიებს გასცემს, სამოქალაქო რეესტრში სავარაუდოდ უფრო მეტი უშტატო თანამშრომელი მუშაობს, ვიდრე შტატიანი. „ბათუმელებს“ სამოქალაქო რეესტრის შტატიან და უშტატო თანამშრომლების შესახებ ზუსტი მონაცემები არ მოეპოვება.

იუსტიციის სახლი

იუსტიციის სამინისტროს კიდევ ერთ სსიპ-ის — იუსტიციის სახლს პრემიებისთვის შარშან 1 195 575 ლარი აქვს დახარჯული. დოკუმენტში მითითებულია, რომ თანხა „საკუთარი შემოსავალია“. იუსტიციის სახლის აღმასრულებელი დირექტორი ნინო ჩიჩუაა და მისი პრემიაც დეკემბერში 3 ათას ლარზე მეტია. ამ უწყებაში პრემიების განაწილების დროს უპირატესობა ენიჭებათ დირექტორებსა და მათ მრჩევლებს. ყველაზე დაბალი პრემია — 288 ლარი უწყებაში სივრცის კონსულტანტს აქვს მიღებული. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2013 წლის დეკემბრის მონაცემებით, შრომისუნარიანი ასაკის მამაკაცის საარსებო მინიმუმი 155.10 ლარია.

პრეზიდენტი პარლამენტის წინაშე სავარაუდოდ, 19 ან 21 თებერვალს წარდგება

როგორც საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა ვიქტორ დოლიძემ განაცხადა, გადაწყდა, რომ გიორგი მარგველაშვილის გამოსვლა პარლამენტში თებერვლის შუა რიცხვებში შედგება.

„პრეზიდენტის ადმინისტრაციასა და საპარლამენტო უმრავლესობასთან შეთანხმება მიღწეულია. 17 თებერვალი ორშაბათია და, შესაძლოა, პრეზიდენტს ოთხშაბათს ან პარასკევს მოვუსმინოთ, როგორც წესი, სხდომები სწორედ ამ დღეებშია ხოლმე, თუმცა არ არის გამორიცხული, რიგგარეშე სხდომაც დაინიშნოს, პრეზიდენტის მოსმენა იმდენად მნიშვნელოვანია“, — განაცხადა ვიქტორ დოლიძემ. მისივე თქმით, პრეზიდენტის გამოსვლის ფორმატთან დაკავშირებით შეთანხმება უმცირესობასთან ჯერჯერობით მიღწეული არ არის.

„პია“

„ირაკლი ღარიბაშვილს შეუძლია, თავდაჯერებული იყოს“

ნატო-ს გენერალური მდივნის სპეციალურმა წარმომადგენელმა ჯეიმს აპატურაიმ საქართველოს პრემიერთან ბრიუსელში დაგეგმილ შეხვედრასა და ნატო-საქართველოს კომისიის სხდომაზე ისაუბრა.

„პრემიერის ვიზიტი ძალიან მნიშვნელოვანი იქნება. ვფიქრობ, მას შეუძლია, თავდაჯერებული იყოს. ჩვენი მოსაზრება წლიურ ეროვნულ გეგმაზე ძალიან პოზიტიურია, ასე რომ, ვფიქრობ, ელჩებს ექნებათ სურვილი, მოისმინონ როგორ მიდის მზადება. ასევე თქვენ წინ გელოდებათ ადგილობრივი არჩევნები“, — აღნიშნა აპატურაიმ. მისივე თქმით, საუბრის თემებს შორის იქნება ავღანეთის მომავალი და სექტემბერში დაგეგმილი ნატო-ს სამიტი, — **„ვფიქრობ, ძალიან ლეგიტიმურია, რომ ქართველი ხალხი კონკრეტულ წინგადადგმულ ნაბიჯს ელოდება. რა ფორმას მიიღებს ეს არ ვიცი, მაგრამ საქართველოს პოზიცია ნათელია. მან რეფორმები გაატარა და საერთაშორისო მისიაში წვლილი შეაქვს და ელჩებმა ეს იციან“.**

„პია“

სერგო რატიანი: „სწავლის დასაფინანსებლად სტუდენტს შეუძლია სამხედრო სამსახური გაიაროს“

ერთიანი ნაციონალური მოძრაობა საგაზაფხულო სესიაზე ახალი კანონპროექტის „სამხედრო სამსახური, სწავლის დაფინანსების ნაცვლად“ წარდგენას გეგმავს.

როგორც ნაციონალური მოძრაობის წევრმა სერგო რატიანმა განაცხადა, დღევანდელი მდგომარეობით, გადაუხდელობის გამო დაახლოებით 28 000 სტუდენტს სწავლის საფასურის გამო შეჩერებული აქვს სტუდენტის სტატუსი. მისივე ინფორმაციით, 2012 წლის 1 ოქტომბრისთვის ეს ციფრი 12 000-ს არ აჭარბებდა.

„უმაღლესი განათლების სფეროში არ არსებობს სწავლის საფასურის გადახდის გარდა სტუდენტებისთვის ალტერნატიული მექანიზმები.

საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტს, უმაღლესი განათლების ნებისმიერ საფეხურზე, უფლება აქვს სწავლის საფასურის (ბაკალავრიატის ან მაგისტრატურის) სანაცვლოდ მოითხოვოს სამხედრო სამსახურის გავლა“, — აღნიშნა რატიანმა. გარდა ამისა, მისივე თქმით, კანონის მიზანია ახალგაზრდების მოქალაქეობრივი თვითშეგნების კულტურის ამაღლება.

„სახელმწიფოსთვის მნიშვნელოვანია, ხელი შეუწყოს იმ კულტურის დანერგვას, როდესაც ქვეყნისთვის, საზოგადოებისთვის გაწეულ სამსახურს სახელმწიფოს მხრიდან ადეკვატური დაფასება მოსდევს“, — განაცხადა სერგო რატიანმა.

„ექსპრესნიუსი“

რიჩარდ ნორლანდი მიუნხენში ირაკლი ღარიბაშვილის ვიზიტს ძალიან წარმატებულად აფასებს

როგორც საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა განაცხადა, პრემიერ-მინისტრისთვის მიუნხენის კონფერენცია ძალიან წარმატებული იყო.

„თებერვალი საქართველოსთვის ძალიან კარგად დაიწყო. საქართველოს პრემიერმა მიუნხენის კონფერენციაზე კვლავ განაცხადა ევროპასა და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში გაწევრიანების სურვილის შესახებ და საპასუხოდ მიიღო ერთგულება, მხარი დაუჭირონ პარტნიორებმა საქართველოს ამ მისწრაფებას“, — განაცხადა ნორლანდმა. მან ასევე, ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერის მნიშვნელობაზე გაამახვილა ყურადღება და აღნიშნა, რომ ამის შემდეგ სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები ევროკავშირთან უფრო გაღრმავდება.

„პია“

შსს-მ საერთაშორისო კიბერდანაშაული გახსნა

1975 წელს დაბადებული დიმიტრი წ. და 1966 წელს დაბადებული ზვიად წ. ყალბი პლასტიკური ბარათების გამოყენებით უცხო ქვეყნის მოქალაქეთა ანგარიშებიდან თანხის დაუფლების ბრალდებით დააკავეს.

სამართალდამცველებმა ასევე, უკრაინის რესპუბლიკის ექვსი მოქალაქე – იური ხ, სერგი ტ, სტანისლავ დ, კონსტანტინ კ, რუსლან მ. და ვიქტორ რ. ამავე დანაშაულში ამხილეს. გამოძიებამ დაადგინა, რომ დიმიტრი წ-ს უკრაინის მოქალაქე იური ხ. დაუკავშირდა, რომელმაც მის და მისი ხუთი თანამზრახველის, ასევე, უკრაინის რესპუბლიკის მოქალაქეების სახელზე დამზადებული 47 ყალბი საკრედიტო ბარათი გადასცა და აუხსნა, რომ აღნიშნულ საკრედიტო ბარათებზე დატანილი იყო ე.წ. ჰაკერული გზით, უკანონოდ მოპოვებული ინფორმაცია დიდი ბრიტანეთის მოქალაქეების საბანკო მონაცემებით. იური ხ-მ დიმიტრი წ-ს გარკვეული გასამრჯელოს სანაცვლოდ, საქართველოში არსებული ბანკების გამოყენებით, აღნიშნული ყალბი საკრედიტო ბარათებიდან თანხების მოხსნა შესთავაზა. რის შემდეგ დიმიტრი წ-ს თანხები უკრაინის რესპუბლიკაში იური ხ-სა და მისი თანამზრახველებისთვის უნდა გაეგზავნა, რასაც დიმიტრი წ. დათანხმდა. მან აღნიშნული სქემა თავის ძმას – ზვიად წ-ს გააცნო, რომელიც თაღლითური გეგმის განხორციელებაში აგრეთვე ჩაერთო. გამოძიებამ ასევე დაადგინა, რომ თანხები ე.წ. ჰაკერული გზით, დიდი ბრიტანეთის სხვადასხვა ბანკის 1137 პლასტიკური ვიზა ბარათიდან უკანონოდ მოიხსნა და ინტერნეტგადახდის საშუალებით ინტერნეტკაზინოს 45 მომხმარებელს ჩაერიცხა. შემდეგ, აღნიშნული თანხები ინტერნეტკაზინოს სხვა 11 მომხმარებლის ანგარიშებზე გადანაწილდა. იქიდან კი ფულის გადარიცხვა სხვადასხვა ბანკის ანგარიშებსა და საერთაშორისო ელექტრონულ ანგარიშებზე განხორციელდა. დანაშაულებრივი ჯგუფის წევრებმა აღნიშნული სქემით დიდი ბრიტანეთის სხვადასხვა ბანკის მომხმარებლების ანგარიშებიდან 267 000 აშშ დოლარის ოდენობის თანხა მიითვისეს. დიმიტრი წ-მ და ზვიად წ-მ პლასტიკურ ბარათებზე ჩარიცხული თანხები საქართველოს სხვადასხვა ბანკის საშუალებით რამდენჯერმე გაანაღდეს. დაკავებულებმა, ყალბი საკრედიტო ბარათების გამოყენებით, დიდი ბრიტანეთის მოქალაქეების ანგარიშებიდან უკანონოდ სულ 110 000 ლარის ოდენობის თანხა გაანაღდეს. სამართალდამცველებმა დიმიტრი წ-ს საცხოვრებელი ბინის ჩხრეკის შედეგად 60 პლასტიკური ბარათი ამოიღეს. ბარათები უკრაინელი მოქალაქეების სახელზეა დარეგისტრირებული და ბრიტანელი მოქალაქეების უკანონოდ მოპოვებულ მონაცემებს შეიცავს. დაკავებულები ჩადენილ დანაშაულს აღიარებენ. გამოძიება ჯგუფურად ჩადენილი ყალბი საკრედიტო ბარათის დამზადების, გასაღების და გამოყენების ფაქტზე სსსკ-ს 210-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს.

„ვერსიანიუსი“

„ტექნიკური მარილის“ სკანდალი — კორუფციული გარიგება და გზებზე გაფლანგული 322 000 ლარი?!

ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური „თბილსერვის ჯგუფის“ ფინანსურ დოკუმენტებს სწავლობს

მაია მიშელაძე
593-51-90-12

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური შპს „თბილსერვის ჯგუფის“ ფინანსურ დოკუმენტაციას სწავლობს. პრესაში გავრცელებული ინფორმაციით, გამოძიება „ტექნიკური მარილის“ სკანდალით დაინტერესდა, მაგრამ ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურში „ვერსიას“ განუცხადეს, რომ მათ „თბილსერვის ჯგუფიდან“ აბსოლუტურად ყველა სახის ფინანსური დოკუმენტები ამოიღეს. ამჟამად მიმდინარეობს გამოძიება და შესაბამისად, საგამოძიებო სამსახურში არ აკონკრეტებენ, უშუალოდ, რა ტიპის დარღვევებს სწავლობენ „თბილსერვის ჯგუფში“. გამოძიების შედეგებსა და „თბილსერვის ჯგუფის“ შესაძლო ფინანსურ დარღვევებზე ინფორმაციას საგამოძიებო სამსახური რამდენიმე დღეში გაავრცელებს.

გამოძიების ოფიციალური ვერსია

საინფორმაციო გამოშვება „მოამბეს“ ინფორმაციით, თბილისის მერიის შპს „თბილსერვის ჯგუფს“, კომპანია „ნენემ“ სასამართლოში უჩივლა. გავრცელებული ინფორმაციით, „ტექნიკური მარილის“ შეძენაზე გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვებულ კომპანია „ნენეს“ „თბილსერვის ჯგუფმა“ მოულოდნელად კონტრაქტის შეუწყვიტა, რის გამოც ტენდერში გამარჯვებულმა კომპანიამ სარჩელი სასამართლოში შეიტანა.

ტენდერი 2013 წელს, 7 000 ტონა „ტექნიკური მარილის“ შეძენაზე გამოცხადდა. გამარჯვებულ კომპანიას შპს „ნენეს“ 1 ტონა მარილი 114 ლარად უნდა მიეწოდებინა. „მოამბის“ ინფორმაციით, კომპანიამ „თბილსერვის ჯგუფს“ „ტექნიკური მარილი“ ერთი დღის დაგვიანებით, ანუ 2013 წლის 5 დეკემბრის ნაცვლად, 6 დეკემბერს მიაწოდა.

ამის შემდეგ, „თბილსერვის ჯგუფმა“, პირდაპირი შესყიდვის წესით, კონტრაქტი ორ კომპანიასთან — შპს RSP 40-სა და ინდმეწარმე ჯემალ ბერიძესთან გააფორმა, რომლებმაც 1 ტონა „ტექნიკურ მარილში“, 114 ნაცვლად, 160 ლარი მოითხოვეს. შპს „ნენეს“ წარმომადგენლების ინფორმაციით, საქმეში კორუფციული ინტერესები იკვეთება, რადგან ახალ კონტრაქტორს ჯემალ ბერიძეს, მარილის მიწოდების დაგვიანების გამო, „თბილსერვის ჯგუფმა“ მხოლოდ ჯარიმა დააკისრა და ახალი მიმწოდებლებისთვის კონტრაქტები არ შეუწყვეტია. გავრცელებული ინფორმაციით, ამ საქმით შინაგან საქმეთა სამინისტროს ანტიკორუფციული დეპარტამენტიც დაინტერესდა. გამოძიება დიდი ოდენობით თანხის გაფლანგვის მუხლით მიმდინარეობს.

შპს „ნენეს“ წარმომადგენლები აცხადებენ, რომ „ტექნიკური მარილის“ შესყიდვის ტენდერი კომპანიამ დაბალი ფასის შეთავაზების შედეგად მოიგო. მათივე ინფორმაციით, ტენდერის საერთო ფასი 800 000 ლარი იყო და „ნენეს“ 7 000 ტონა „ტექნიკური მარილი“ უნდა შემოეტანა. კომპანიაში აცხადებენ, რომ მიწოდება 2013 წლის დეკემბრიდან, 2014 წლის თებერვლის ჩათვლით უნდა განხორციელებულიყო. როგორც უკვე აღვნიშნეთ, შპს „ნენემ“ „ტექნიკური მარილის“ მიწოდება ერთი დღით დააგვიანა. მართალია, კომპანიის 10 მანქანა დანიშნულების ადგილზე გამოცხადდა, მაგრამ დაცვამ უკან გამოაბრუნა. „ნენეს“ ხელმძღვანელებმა კი „თბილსერვის ჯგუფის“ უფროსის, თორნიკე შიოლაშვილის წერილი მიიღეს, სადაც აღნიშნული იყო, რომ ხელშეკრულება ვადის გადაცილების გამო გაწყვიტეს. რამდენიმე დღეში, „თბილსერვის ჯგუფმა“ პირდაპირი მიყიდვის წესით, ხელშეკრულება ორ კომპანიასთან ისევ 7 000 ტონა „ტექნიკური მარილის“ შესყიდვაზე გააფორმა. თუ „ნენეს“ 1 ტონა მარილი 114 ლარად უნდა მიეწოდებინა, ორ კომპანიას „თბილსერვის ჯგუფი“ 160 ლარზე გაურიგდა. საერთო ჯამში, ფასებს შორის სხვაობა 322 000 ლარი დაფიქსირდა.

„ტექნიკური მარილი“ ძირითადად თურქეთიდან, ირანიდან და ეგვიპტიდან შემოაქვთ და დიდთოვლობის დროს, გზების გასაწმენდად იყენებენ. ორიოდე დღის წინ, თბილისის სხვადასხვა უბანში, მხოლოდ ერთ ღამეში, გზებზე 600 ტონა „ტექნიკური მარილი“ დაყარეს. მიუხედავად ამისა, ერთ ღამეში დაახლოებით, 75-მდე ავტოსაგზაო შემთხვევა დაფიქსირდა.

5 000 000 ლარი ნაციონალური მოძრაობის აქტივისტებისთვის

„თბილსერვის ჯგუფის“ საქმიანობით ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური ჯერ კიდევ ორი წლის წინ, 2012 წლის შემოდგომაზე დაინტერესდა. „ვერსიაში“ დეტალურად ვწერდით ნაციონალური მოძრაობის აქტივისტების დასაქმების სკანდალის შესახებ. შეგახსენებთ, რომ 2009 წლის 31 დეკემბერს, შპს „თბილსერვის ჯგუფის“ ყოფილმა გენერალურმა დირექტორმა გიორგი ხუჭუამ, მერიის დასუფთავების სამსახურის უფროსის, ტარიელ ხიზანეიშვილის (მოგვიანებით, ვიცე-მერად დაინიშნა) დავალებით, ნაციონალური მოძრაობის აქტივისტების მატერიალური უზრუნველყოფის მიზნით, ფორმალურად შექმნა საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება, სადაც ორი წლის მანძილზე, ყოფილი მმართველი პარტიის 764 აქტივისტი ფიქტიურად დაასაქმეს. თბილისის ბიუჯეტიდან კი ხელფასის სახით, 5 245 945 ლარი გამოუყვეს.

ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა ამ საქმის მოკვლევა 2012 წლის ნოემბერში დაიწყო, 2013 წლის თებერვალში კი დაკითხვაზე დაიბარეს „თბილსერვის ჯგუფის“ ხელმძღვანელი თორნიკე შიოლაშვილი, ყოფილი უფროსი გიორგი ხუჭუა და თბილისის ვიცე-მერი, ტარიელ ხიზანეიშვილი. გამოძიება დედაქალაქის ბიუჯეტიდან 5 245 945 ლარის გაფლანგვის ფაქტზე დაიწყო და გაირკვა, რომ 2010 წლის 6 აგვისტოს, „თბილსერვის ჯგუფის“ საშტატო განრიგი და სახელფასო ფონდი, თბილისის მერმა, გიგი უგულავამ დაამტკიცა. შესაბამისად, გიგი უგულავას, ბრალი სისხლის სამართლის კოდექსის რამდენიმე მუხლით წარუდგინეს, რაც 9-დან 12 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებდა.

შპს „თბილსერვის ჯგუფი“ 2006 წლის 18 დეკემბერსაა რეგისტრირებული მისამართზე: თბილისი, კახეთის გზატკეცილი 67. საქმიანობის სფერო დასუფთავებასთან დაკავშირებული მომსახურების გაწევაა, შპს-ს დამფუძნებელია თბილისის მერია. 2010 წლის 22 ნოემბრამდე, „თბილსერვის ჯგუფს“ გიორგი ხუჭუა ხელმძღვანელობდა. ხოლო აღნიშნული თარიღიდან დღემდე კი ამ სამსახურის უფროსი თორნიკე შიოლაშვილია.

როგორც ჩანს, „თბილსერვის ჯგუფის“ ხელმძღვანელების უკვე გახმაურებულ ძველ და ახალ ცოდვებს სხვა, არანაკლებ მნიშვნელოვანი დარღვევებიც დაემატება. ამას არც ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურში უარყოფენ, რადგან საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა „თბილსერვის ჯგუფიდან“ ყველა სახის ფინანსური დოკუმენტები ამოიღეს. მეტიც, საგამოძიებო სამსახურში აცხადებენ, რომ საქმე მხოლოდ „ტექნიკური მარილის“ სკანდალს არ ეხება. საუბარია სხვა სახის ფინანსურ დარღვევებზეც, რის შესახებაც დეტალურ ინფორმაციას უმოკლეს ვადებში გაავრცელებენ.

ნინო ბურჯანაძის სკანდალური ჩვენება 26 მაისის საქმეზე და ვანო მერაბიშვილის მადლობა

ეროსა ხავთასი

3 თებერვალს საქალაქო სასამართლოში 26 მაისის პროცესი სკანდალით დაიწყო — ვანო მერაბიშვილისა და ნინო ბურჯანაძის მომხრეები ერთმანეთს დაუპირისპირდნენ. დემოკრატიული მოძრაობის ახალგაზრდული ფრთის წარმომადგენლები თავისუფალი ზონის მიერ ორგანიზებულმა აქციამ და მისმა სლოგანმა — „ბურჯანაძეების ოჯახი გრუ-ს ჯაშუშები“ — გააღიზიანა, რასაც სიტყვიერი და ფიზიკური დაპირისპირება მოჰყვა. საქალაქო სასამართლოსთან მიმდინარე დაპირისპირებისას, სამართალდამცავებმა ერთი პირი დააკავეს. საინფორმაციო სააგენტო „ჯი-ეიჩ-ენის“ მიერ გავრცელებული ინფორმაციით, გამოძიება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც წვრილმან ხულიგნობას გულისხმობს.

რა კავშირი აქვს ბადრი ბიწაძეს 2007 წლის ნოემბრის მიტინგის დარბევასთან და იწყებდა თუ არა 2008 წლის აპრილში საკაშვილი ომს აფხაზეთში

3 თებერვლის პროცესზე სკანდალს წინასწარ ელოდნენ, რადგან მოწმის სტატუსით ჩვენებას შს მინისტრის ყოფილი მოადგილე შალვა ჯანაშვილი და დემოკრატიული მოძრაობის ლიდერი, 26 მაისის აქციის ორგანიზატორი ნინო ბურჯანაძე აძლევდნენ. 2011 წლის 26 მაისს, რუსთაველზე გამართული აქციის დაშლის გამო, ვანო მერაბიშვილს ბრალი სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მესამე ნაწილით აქვს წაყენებული, რაც სამსახურეობრივი უფლებამოსილების გადამეტებას გულისხმობს. შს მინისტრის ყოფილმა მოადგილე შალვა ჯანაშვილმა, 26 მაისის საქმეზე ჩვენების მიცემისას, აღნიშნა, რომ მომიტინგეების დაკავების მიზანი იყო, ისინი უკან არ მობრუნებულიყვნენ და აღლუმისთვის ხელი არ შეეშალათ. როდესაც 2011 წლის მაისში აქციები დაიწყო, მინისტრის მიერ კრიზისის მართვის შტაბი შეიკრიბა. ერთ-ერთ თათბირზე შემუშავდა გეგმა, როგორ დაეშალათ რუსთაველის გამზირზე მომიტინგეები.

„მინისტრს შევთავაზე ჩემი გეგმა, რომლის თანახმად, მომიტინგეებს თავისუფლების მოედანზე მივმართავდით. მინისტრის მეორე მოადგილე გია ლორთქიფანიძე თავის დანაყოფებს განათავსებდა და მომიტინგეთა დაკავება თავისუფლების მოედანზე უნდა მომხდარიყო, რადგან რუსთაველზე სივრცე პატარა იყო და ხალხი დაშავდებოდა. ჩემს მიერ შეთავაზებული გეგმის მიხედვით, დაკავებების დროს გასასვლელი მომიტინგეებისთვის არ იქნებოდა და შემდეგ უკვე ლორთქიფანიძე გადაწყვეტდა, რა გაეხსნა და სად გაეხსნა გასასვლელი. ჩემი ამოცანა იყო, ხალხი თავისუფლების მოედნამდე მიმეყვანა“, — აცხადებს ჯანაშვილი და დასძენს, რომ საქმეში იქნებოდა პატარა ჯგუფი, რუსთაველზე იმ „ტროსს“ გადაჭრიდა, რომელიც მომიტინგეების მიერ იყო შემოვლებული, რათა ხალხს გზა თავისუფლებისკენ გაეგრძელებინა. ამის შემდეგ კუდ-ის დანაყოფი, რომელიც პარლამენტში იყო განთავსებული, შენობიდან გამოვიდა და ვითარება აურია. გეგმის თანახმად, ეს დანაყოფი არ უნდა გამოსულიყო. ჯანაშვილის თქმით, ისინი გამოვიდნენ და ხალხს შეესივნენ. გარდა ამისა, შს მინისტრის ყოფილი მოადგილის განცხადებით, გია ლორთქიფანიძის დაქვემდებარებაში მყოფი დანაყოფი თავისუფლებიდან რუსთაველისკენ წავიდა, რაც ასევე არ შედიოდა გეგმაში. ჯანაშვილის თქმით, მან გია ლორთქიფანიძეს რუსთაველისკენ წამოსვლის მიზეზი ჰკითხა, რაზეც მიუგო, რომ თავისუფლების მეტროდან კანცელარიის ასასვლელ კიბესთან პოლიციელები დახმარებას ითხოვდნენ. როგორც ჯანაშვილმა განაცხადა, აღნიშნულ დანაყოფებს იგი თავად ვერ იმორჩილებდა, რაზეც დახმარებისთვის შს მინისტრს ვანო მერაბიშვილს დაურეკა და საქმეში ჩარევა სთხოვა. როგორც ჯანაშვილი იხსენებს, მერაბიშვილმა უთხრა, რომ ნუ იდარდებდა. 26 მაისის ღამეს, დაახლოებით, 800-მდე მოქალაქე დააკავეს. გარდა ამისა, მინისტრის ყოფილი მოადგილის განცხადებით, ამის შემდეგ ივლისში გაიმართა თათბირი, სადაც დავალებული იყო შინაური ხალხის მონახვა, რათა მათთვის საყვედურები გამოეცხადებინათ.

მოწმე ჯანაშვილი ვანო მერაბიშვილის ადვოკატებმაც დაკითხეს. კითხვაზე, იღებდა თუ არა იგი მერაბიშვილისგან უკანონო დავალებებს, უპასუხა, რომ მერაბიშვილი უკანონო დავალებებს არ აძლევდა. რაც შეეხება აქციაზე გაზის გამოყენებას, მინისტრის ბრძანება იყო, გაზი არ გამოეყენებინათ. ჯანაშვილის თქმით, მას მიაჩნია, რომ აქციის დაშლის დროს, სრული რკალი არ უნდა გაკეთებულიყო და მომიტინგეებისთვის პატარა სივრცე უნდა დაეტოვებინათ გასასვლელად. ნინო ბურჯანაძის ესკორტი კი ტერიტორიის დატოვების დროს სამართალდამცველებში შეიჭრა, რადგან თავისუფლების მოედანზე თავისუფალი ადგილი არ იყო. ამ ვითარებას იგი მონიტორებიდან აკვირდებოდა და, როგორც იხსენებს, ამ დროს, რამდენიმე პოლიციელი დაშავდა. მათგან ორი მძიმედ იყო, ერთ-ერთი კი გარდაიცვალა. კითხვაზე, სამართალდამცველებში ესკორტის შეჭრამ და პოლიციელების დაშავებამ ხომ არ გაზარდა აგრესია პოლიციელებში, ჯანაშვილის თქმით, ნაწილობრივ გაზარდა.

იმავე დღეს, სასამართლოს ჩვენება მისცა დემოკრატიული

მოძრაობის ლიდერმა ნინო ბურჯანაძემ, რომელმაც განაცხადა, რომ ეს მიტინგის დაშლა კი არა, მასშტაბური სადამსჯელო ოპერაცია იყო. მან ჩვენების დასაწყისში დეტალურად გაიხსენა 2011 წლის მაისის აქციების წინაპერიოდი, ასევე ისაუბრა 2008 წლის აგვისტოს ომზე და განაცხადა, რომ მიხეილ სააკაშვილს საერთაშორისო ასპარეზზე ეხმარებოდა, რომ სწორედ მან სთხოვა წითელი ჯვრის თანამშრომელს, დაღუპული ბიჭების გადმოსვენებაში ქართულ მხარეს დახმარებოდა. ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერის დაკვეთით კი დაიბეჭდა პროკლამაციები — **„აირჩიეთ ნინო ბურჯანაძე“** — რომელსაც, თითქოს, ტანკებიდან ყრიდნენ რუსი ჯარისკაცები. ეს ყველაფერი გამიზნული იყო ბურჯანაძის სახელის დისკრედიტაციისთვის.

„ჩემი ზარის შემდეგ, რომელიც საკაშვილთან განვახორციელე, ეს სიუჟეტი შეწყდა“, — დასძინა ბურჯანაძემ და განაცხადა, რომ მისი, როგორც სამშობლოს მოღალატის სახელი, 2008 წლის აგვისტოშივე „როიტერისთვის“ მიცემული ინტერვიუს შემდეგ გაჟღერდა, სადაც პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე აცხადებდა, რომ ახლა არ იყო კითხვებზე პასუხის დრო, თუმცა ამის დრო აუცილებლად დადგებოდა. **„მაშინ ამის პასუხად საკაშვილმა განაცხადა, რომ ვინც ამას ამბობდა, სამშობლოს მოღალატე იყო...“** ბურჯანაძისვე ინფორმაციით, წინა ხელისუფლება 2008 წლის აპრილში აფხაზეთში ომის დაწყებას აპირებდა. შეიკრიბა უშიშროების საბჭო, რომელზეც, ბურჯანაძის თქმით, სააკაშვილმა განაცხადა, რომ ერთი ქართველი ჯარისკაცი 50-ს უდრიდა და რუსების ტექნიკა დაჟანგული იყო, ხოლო მაშინ აფხაზეთში ომი რომ არ დაიწყო, ეს სწორედ ბურჯანაძის დამსახურებაა.

გარდა ომის თემებისა, დემოკრატიული მოძრაობის ლიდერმა დეტალურად ისაუბრა 2011 წლის მაისსა და 26 მაისის ღამეზე, როდესაც აქცია დაშალეს მოხდა. მისი განცხადებით, ნაციონალური მოძრაობა კრიმინალური დანაშაულებრივი ორგანიზაციაა, რომელიც უნდა გასამართლდეს: **„დიდი უსამართლობაა, რომ აქ მარტო ვანო ზის, პირველ რიგში, დამნაშავეა სააკაშვილი და იმედი მაქვს, მომიწევს მოსვლა და სააკაშვილის წინააღმდეგ ჩვენების მიცემა“.**

მოწმის სტატუსით ბურჯანაძის დაკითხვა, დაახლოებით, 3 საათი გაგრძელდა, რის შემდეგაც ვანო მერაბიშვილმა მას მადლობა გადაუხადა და განაცხადა: **„მინდა, მადლობა გადავუხადო მას, ყველაფერი თქვა და ყველა დარწმუნდა, რა მიზანი ამოძრავებდა და როგორ მიდიოდა მიტინგი. ბურჯანაძის მიერ მიცემული ჩვენება დაცვის მხარეს კარგად გამოადგება. მინდა, შევახსენო 2007 წლის ნოემბრის მიტინგი. მას არ ვამტყუნებ, მაგრამ ყველამ ვიცით, რომ მიტინგის დაშლის ინიციატივა ბადრი ბიწაძისგან მოდიოდა. ყველამ ვიცით, ის იყო ინიციატორი, რომ ამ ფორმით დაშლილიყო, თუმცა მიმაჩნია, ეს დანაშაული არ არის, როგორც ეს განხორციელდა“.**

ნინო ბურჯანაძემ კი მერაბიშვილის საპასუხოდ განაცხადა, რომ ამაზე კომენტარის გაკეთება უხერხული იქნება, სამაგიეროდ, გიგა ბოკერიას არ ეუხერხულა, ბურჯანაძის ჩვენება **„პოლიტიკური სიბრიყვით სავსე პოლიტიკური ლექციად“** შეეფასებინა. უშიშროების საბჭოს ყოფილი მდივანი, რომელიც ბურჯანაძის დაკითხვას დაესწრო, აცხადებს, რომ **„ეს იყო ცინიზმი, პოლიტიკური სიბრიყვით სავსე პოლიტიკური ლექცია ადამიანისა, რომელიც ღიად შეეკრა საქართველოს მტრებს. ამ კონკრეტულ საქმეზე ყველა მისი ნაბიჯი მიმართული იყო ძალადობისა და სისხლისღვრისკენ. 26 მაისს ყველა შესაძლებლობა იყო, აერიდებინა ძალადობა თავიდან. მან არათუ არ გამოიყენა, პირიქით, იყო მოწოდებული, ადგილი ჰქონოდა ძალადობას. ეს დღეს კიდევ ერთხელ, კარგად გამოჩნდა, იმდენად წინააღმდეგობრივი იყო მისი განცხადებები“.**

3 თებერვალს შსს-ს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის ყოფილი მოადგილე სვიმონ ქარჩაიძეც უნდა დაკითხულიყო, თუმცა მოსამართლე ხათუნა ხარჩილავამ დღის წესრიგი შეცვალა, მიზეზი კი ბრალდებული ვანო მერაბიშვილი გახდა, რომელმაც სასამართლოს სხდომა ყოფილი მოადგილის, შალვა ჯანაშვილის დაკითხვის დასრულებისთანავე, მოსამართლის ნებართვის გარეშე დატოვა. პროცესზე შესვენება გამოცხადდა, რის შემდეგაც სხდომაზე ბრალდებული ვანო მერაბიშვილი აღარ შეუყვანიათ. როცა მოსამართლე დაინტერესდა, რატომ არ ესწრებოდა მერაბიშვილი პროცესს და საბადრაგო სამსახურისგან ოქმი მოითხოვა, აღმოჩნდა, რომ, საბადრაგო სამსახურის ოქმის თანახმად, მერაბიშვილმა განაცხადა, რომ თავს შეუძლოდ გრძნობდა და პროცესზე დასწრებას ვეღარ შეძლებს, რის შემდეგაც იგი სასჯელაღსრულების მეცხრე დაწესებულებაში გადაიყვანეს. მოსამართლე ხათუნა ხარჩილავა აცხადებს, რომ ეს დოკუმენტი არ არის საკმარისი, პროცესი ბრალდებულის მონაწილეობის გარეშე გაგრძელდეს, ამიტომაც მოწმე ქარჩაიძის დაკითხვა 6 თებერვალს, 11:00 საათისთვის გადაიდო.

„ვისოლი“ Wendy's-ის პრეზიდენტს მასპინძლობს

რა მისიით ჩამოვიდა საქართველოში ემილ ბროლიკი? — 2014 წელს, „ვისოლი“ საქართველოში Wendy's 7 ახალ რესტორანს გახსნის

2014 წელს საქართველოში Wendy's 7 ახალი რესტორანი გაიხსნება — Wendy's პრეზიდენტისა და აღმასრულებელი დირექტორის, ემილ ბროლიკის საქართველოში ვიზიტის ერთ-ერთი მიზეზი ისიც იყო, რომ ქართული საზოგადოებისთვის ეს სასიამოვნო სიახლე ეცნობებინა. „რადისონ ბლუ ივერიაში“ გამართულ საგანგებო პრესკონფერენციაზე, ბატონმა ემილმა, Wendy's სამომავლო გეგმებისა და ზოგადად, „ვისოლ ჯგუფთან“ ურთიერთობის შესახებ კომპანიის საერთაშორისო პრეზიდენტ დარენ ვან ლიგტენთან, საქართველოში აშშ-ს ელჩ რიჩარდ ნორლანდს და „ვისოლ ჯგუფის“ პრეზიდენტ სოსო ფხაკაძესთან ერთად ისაუბრა.

ემილ ბროლიკი: „მოხარული ვარ საქართველოში სტუმრობით. სასიამოვნო დრო გავატარეთ Wendy's რესტორანში, ვივახშმეთ საოცარ ადგილას, რომელიც თქვენ დედაქალაქს გადაჰყურებს. მოხიბლული ვარ თბილისით, აქ მაცხოვრებელი ადამიანებით და იმით, როგორ მიიღო ქართულმა საზოგადოებამ Wendy's. ყოფილი ფოსტის შენობაში განთავსებული რესტორანი ძალიან მომეწონა. შესანიშნავ ადგილზეა და ძალიან ლამაზია. თბილისის დათვალიერებისას, ბატონმა სოსომ Wendy's ახალი რესტორნებისთვის რამდენიმე ძალიან კარგი ადგილი შემოგვთავაზა. უმნიშვნელოვანესია, რომ ვთანამშრომლობთ „ვისოლთან“ — ჯგუფთან, რომელიც ძალიან კარგად გრძნობს საქართველოს მომხმარებელთა მაჯისცემას. „ვისოლთან“ ბევრი რამ გვაკავშირებს. უპირველესი კი, ღირებულებები და მიზნებია. ჩვენც, „ვისოლის“ მსგავსად, ხარისხზე ვართ ორიენტირებულნი. ამას ჩვენი სლოგანიც ადასტურებს: Wendy's დევიზი, დაარსებიდან, 1969 წლიდან არის „ხარისხი ჩვენი რეცეპტია“. ძალიან მომწონს სოსო ფხაკაძის, კარგი გაგებით — აგრესიული მარკეტინგი, მაგრამ გამაოცა იმან, რომ ბატონი სოსო ყველა დეტალს უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს, პირადად იცნობს თავის კომპანიაში მომუშავე თითქმის ყველა თანამშრომელს... Wendy's მთელი ოჯახის სახელით ვუსურვებთ წარმატებას „ვისოლ ჯგუფს“ და მოუთმენლად ველით, ერთობლივი ძალებით, საქართველოში, Wendy's ბრენდის უფრო მეტად გაძლიერებას“.

Wendy's-თან ურთიერთობის მნიშვნელობისა და საერთო ღირებულებების შესახებ ისაუბრა „ვისოლ ჯგუფის“ პრეზიდენტმა **სოსო ფხაკაძემაც.** მისი თქმით, ზოგადად, Wendy's-თან ურთიერთობა მათ საშუალებას აძლევს, კიდევ ერთხელ, უფრო ღრმად ეზიარონ ამერიკულ კულტურას, მეწარმეობას, ბიზნესის კეთებას. ასეთი ძლიერი მსოფლიო ბრენდის იმიჯის კომპანიის აღმასრულებელი დირექტორის და ასეთი წონადი ბიზნესმენის სტუმრობა საქართველოში, მხოლოდ „ვისოლისთვის“ კი არა, ქვეყნისთვისაც დიდი პატივია: **„ჩვენთვის ძალიან დიდი პატივია, ვუმასპინძლოთ გამოჩენილ ბიზნესმენს აშშ-დან. სწორედ ამერიკელი მეგობრებისა და პარტნიორების დახმარებით მივიღეთ ისეთი ტიპის რესტორანი, რომელზედაც თამამად ვიტყვი, რომ ყველაზე ლამაზიცაა და მსოფლიოში, Wendy's რესტორანთა შორის, ყველაზე დიდია. ძალიან სასიამოვნოა, რომ ჩვენ გავხდით Wendy's დიდი ოჯახის წევრი. რესტორნის გახსნიდან რამდენიმე თვეში, ათიათასობით მომხმარებელი მოვიზიდეთ, რომლებიც გამოკითხვებისას, ამბობენ, რომ ოჯახთან ერთად ხშირად სტუმრობენ Wendy's და მეტიც, Wendy's გარეშე ცხოვრება ვეღარ წარმოუდგენიათ. ყველაფერს გავაკეთებთ, უფროდაუფრო წარმატებული და საინტერესო პროექტები შევთავაზოთ მომხმარებელს“.**

„ვისოლ ჯგუფის“ პრეზიდენტმა იმაზეც ისაუბრა, საქართველოში „ვენდის“ არსებობას ზოგადად, რა მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნისთვის. სოსო ფხაკაძის თქმით, ეს ხაზს უსვამს ქვეყნის ეკონომიკურ სტაბილურობას და საქართველოში, რაც მეტ ადგილზე იქნება ობიექტი, „ვენდის“ ორიგინალური ლოგოთი, მით მეტ უცხოელ ინვესტორს გაუჩნდება ბიზნესის აქ კეთების სურვილი. სოსო ფხაკაძემ, ემილ ბროლიკთან ერთად, მადლობა დარენ ვან ლიგტენსაც გადაუხადა და რიჩარდ ნორლანდსაც, რომელიც მისი თქმით, საქართველოსთვის ბევრ კარგ საქმეს აკეთებს, „ვისოლს“ კი, ახალ-ახალი წამოწყებებისას, ყოველთვის მხარში უდგას.

თავის მხრივ, საქართველო-ამერიკის მჭიდრო პარტნიორულ ურთიერთობებზე ისაუბრა ელჩმა რიჩარდ ნორლანდმა. მან ასევე ხაზი გაუსვა, რომ ორ ქვეყანას შორის ეკონომიკურ ურთიერთობას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. Wendy's საერთაშორისო პრეზიდენტმა დარენ ვან ლიგტენმა კი, თბილისში Wendy's რესტორნის გახსნა გაიხსენა, თქვა, რომ ძალიან მაღალი შედეგი მიიღეს, თბილისის რესტორნის დიზაინს, მალაიზიის, სინგაპურისა და სხვა ქვეყნების რესტორნებშიც აჩვენებენ და ისიც აღნიშნა, დარწმუნებული ვარ, სოსო ფხაკაძე და მისი გუნდი, Wendy's-თან დაკავშირებულ ყველა გეგმას წარმატებით განახორციელებსო.

„ვისოლ ჯგუფმა“ Wendy's-თან სალიცენზიო შეთანხმებას საქართველოსა და აზერბაიჯანში Wendy's რესტორნების ქსელის განვითარების შესახებ 2012 წელს მოაწერა ხელი. Wendy's პირველი რესტორანი საქართველოში 2013 წლის 12 სექტემბერს გაიხსნა და მომხმარებელს უგემრიელესი, საფირმო მენიუ შესთავაზა — ოთხკუთხედი ჰამბურგერები, ახალდამზადებული სალათები, კარტოფილი ფრი, „ჩილის“ სოუსი და „ფროსტის“ დესერტი... სხვა კერძებთან ერთად, გასართობი და სათამაშო ზონის გარდა, რესტორანში ფუნქციონირებს Wendy's კაფე, რომელიც 15 სახის პრემიუმხარისხის ყავას სთავაზობს მომხმარებელს. თბილისში, 1000 m2-ზე მეტ ფართზე განთავსებული ინოვაციური ინტერიერის დიზაინისა და უნიკალური მომსახურებათა პაკეტის მქონე Wendy's რესტორანი ყველაზე დიდი Wendy's რესტორანია მსოფლიოში. მას კი, მხოლოდ წელს, 7 რესტორანი დაემატება, მათ შორის თბილისს გარეთ. Wendy's ქსელის გაფართოების პროცესი მომდევნო წლებშიც გაგრძელდება. საბოლოოდ, რესტორნების რაოდენობას, კომპანიის ხელმძღვანელობას, თავად მომხმარებელი „განუსაზღვრავს“ — რაც მეტად ეყვარებათ საქართველოში Wendy's, რაც მეტი იქნება მოთხოვნა, მით მეტი რესტორანი გაიხსნება. თითოეულ მათგანში კი, როგორც სოსო ფხაკაძე გვპირდება, იქნება კომფორტული გარემო, სისუფთავე, მაღალი ხარისხის მომსახურება და რაც მთავარია — უმაღლესი ხარისხი — ღირებულება, რომელმაც „ვისოლი“ და Wendy's ერთი დიდი ოჯახის წევრებად აქცია.

ნინო ლურსმანაშვილი

ანდრეი ილარიონოვი: რუსეთის 4 სცენარი უკრაინისთვის

კრემლი უკრაინის გახლეჩისთვის ემზადება, სწორედ იმ სცენარით, რომელიც მან საქართველოში აფხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთის“ შემთხვევაში განახორციელა. განცხადება ამის შესახებ რუსეთის პრეზიდენტის ყოფილმა მრჩეველმა ანდრეი ილარიონოვმა გააკეთა.

„უკვე აღარავინ მალავს, რომ ღია პროპაგანდა მიმდინარეობს მომზადება უკრაინის საქმეებში რუსეთის ჩარევის შესახებ“, — აცხადებს ილარიონოვი და აღნიშნავს, რომ კრემლს ვიქტორ იანუკოვიჩის სანდოობაში ეჭვი ეპარება, მის ალტერნატივად მოიაზრებიან ანდრეი კლიუევი და ვიქტორ მედვედჩუკი.

„კრემლმა თავი დაანება მხოლოდ იანუკოვიჩზე ორიენტაციას. ალბათ, მიღებულია გადაწყვეტილება, რომ ის მაინცდამაინც სანდო არ არის. მოქმედებები ხორციელდება იმის მიუხედავად, თუ როგორია იანუკოვიჩისა და რეგიონების პარტიის პოზიცია“, — ამბობს პუტინის ექსმრჩეველი და დასძენს, რომ ბოლო დროს უკრაინის მიმართ ასეთი თეზისი ვითარდებოდა: **„მთავარია, მიაღწიო და გადაიტანო ოლიმპიადის დაწყება. შემდეგ კი, უცხოელი სტუმრები ან წავლენ, ან ძალიან უმნიშვნელო რაოდენობით დარჩებიან. მთავარი გადაწყვეტილებები მაქსიმუმ 10 დღის განმავლობაში იქნება მიღებული. წინააღმდეგ შემთხვევაში უკრაინა, შესაძლოა, კრიზისიდან გამოვიდეს და გამაგრდეს. ბოლოს და ბოლოს, შემდეგ უკვე დასავლეთის ყურადღება, შესაძლოა, უფრო მეტი იყოს უკრაინის მიმართ, ვიდრე ახლა“.**

ილარიონოვის თქმით, კრემლი უკრაინაში 4 სცენარს განიხილავს. **„პირველი — სრული კონტროლი მთელ უკრაინაზე იმ პირის დახმარებით, რომელიც ქვეყანაში ნდობით სარგებლობს, მაგრამ ეს ვარიანტი ნაკლებსავარაუდოა ახლა; მეორე — მთავარი ვარიანტი, რომელზეც ხდება ძალების უმეტესი ნაწილის კონცენტრირება — უკრაინის ფედერალიზაცია ან კონფედერალიზაციაა. მისი მიზანია, დაამყარონ კონტროლი უკრაინის აღმოსავლეთ და სამხრეთ ნაწილზე. მესამე — ეს ვარიანტი ამოქმედდება იმ შემთხვევაში, თუ ვერ მოხერხდება კონტროლის დამყარება მთელ სამხრეთ აღმოსავლეთზე. მაშინ შეეცდებიან, კონტროლი დაამყარონ ყველაზე მნიშვნელოვან რაიონებზე. პირველი კანდიდატები არიან — ოდესა, ნიკოლაევი, ლუგანსკი, დონეცკი, ხარკოვის ოლქი და ყირიმი. მეოთხე — კრემლი მხოლოდ სევასტოპოლზე შეჩერდება, უკრაინის ერთადერთ რეგიონზე, სადაც რუსი მოსახლეობის წონა რეგიონის მთელი მოსახლეობის ნახევარზე მეტია. ადრე ამ ვარიანტს კერძო განცხადებებში ახმოვანებდნენ, ახლა კი, ის აქტიურად იხილება ტელეეთერითაც. აცხადებენ, რომ უკრაინა შეუმდგარი სახელმწიფოა. ყველაზე მთავარი კი არის ის, რომ „ისტორიული შანსი რუსეთთან მიერთების“, შესაძლოა, რამდენიმე კვირის შემდეგ დაიხუროს, ამიტომაც ამ საკითხის გადადება არ შეიძლება“.**

ილარიონოვის თქმით, ეს ძალიან ჰგავს ვითარებას, როდესაც 2008 წლის ზაფხულში რუსეთის ხელისუფლებამ გადაწყვიტა, რომ მხოლოდ ახლა შეიძლება საქართველოსგან აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის გამოყოფას მიაღწიოს. მაშინ, საიდუმლო ანგარიშში ნათქვამი იყო, რომ ამის შესაძლებლობების ფანჯარა 2008 წლის ბოლომდე იყო. ეს პეკინის ოლიმპიადის დრო იყო. ილარიონოვი ასევე იხსენებს იმას, რომ 2008 წელს **„ნატო-უკრაინის სამიტზე ვლადიმერ პურინმა ბუქარესტში განაცხადა, უკრაინა ისტორიული გაუგებრობა და რუსულ მიწებზე შექმნილი სახელმწიფოა. უკრაინა უკვე აღიქმება, როგორც მომავალი საბრძოლო მოქმედებების თეატრი. იქ უკვე გადადიან სპეციალური დანაყოფები, რომლებიც სერიოზული ოპერაციების დაწყებამდე უნდა იყვნენ იქ. ცხადია, რომ თანამედროვე უკრაინა საქართველო არ არის და არც კოსოვოში აეროპორტის დაკავება. უკრაინა უფრო დიდი ქვეყანაა და მის მიმართ უფრო ნატიფი საშუალებები იქნება გამოყენებული — თავად უკრაინულ ძალასა და პოლიტიკოსებს გამოიყენებენ“,** — მიიჩნევს პუტინის ექსმრჩეველი.

„ჯი-ეიჩ ენი“

ქართული კავშირგაბმულობის პროფესიონალი ლიდერის 60 წლის იუბილე

ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატს, ბიზნესმენ ავთანდილ იაშვილს 6 თებერვალს 60 წლის იუბილე უსრულდება. ბატონ ავთოს კავშირგაბმულობის სფეროსა და ბიზნესში კარგად იცნობენ, როგორც ღვაწლმოსილ პიროვნებას, ლიდერსა და წარმატებულ ადამიანს. ბატონი ავთოს შემთხვევაში განვლილი ბიოგრაფიული გზა ცალსახად ხელისგულზეა: მისი დამსახურებაც ქართული კავშირგაბმულობის განვითარებაში, გაწეული დიდი ქველმოქმედება და ქართული ბიზნესის წინსვლაში შეტანილი მისი არცთუ მცირედი წვლილი. თავად ბატონი ავთოს ინტერვიუზე დაყოლიება რთული თემაა, ის ამ საკითხშიც მოკრძალებულია და საკუთარ ნამოღვაწარზე საუბარი არ უყვარს.

ავთანდილ იაშვილი გახლავთ ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი, საერთაშორისო კავშირგაბმულობის აკადემიის აკადემიკოსი. მას ამ დარგის სპეციალისტები ახასიათებენ, როგორც ერთ-ერთ კორიფეს ამ საქმეში. მრავალგზის მიწვეული იყო სახელმწიფო დავების კომისიის თავმჯდომარედ საქართველოს ტექნიკურ და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. კომპანია „ელექტროკავშირის“ დაფუძნების დღიდან მისი გენერალური დირექტორი. 1996 წლიდან შპს „ახალი ქსელების“ გენერალური დირექტორი. 1997-1999 წლებში კომპანია ,,ჯეოსელის“ შექმნისას გახლდათ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე. დღეს შპს „სისტემნეტსა“ და შპს „ფობნეტში“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეა. ასევე ფლობს მნიშვნელოვან ბიზნესდივიდენდებსა და წილებს შპს ,,ახალ ქსელებსა“ და შპს ,,ახტელში“. მის მიერ დასაქმებულ მოქალაქეთა რიცხვი 2000-ს აღწევს. აღნიშნულ კომპანიებში თანამშრომლები მასზე საუბრობენ, როგორც ყურადღებიან ხელმძღვანელსა და გულისხმიერ პიროვნებაზე, რომელსაც გულთან ახლოს მიაქვს თანამშრომლების პრობლემები და სატკივარი. რაც შეეხება ქველმოქმედებას, თავად ბატონ ავთოს არც მისი აფიშირება უყვარს. თუმცა ჩვენი ინფორმაციით, მნიშვნელოვანი მონაწილეობა აქვს სხვადასხვა ქველმოქმედებაში მიღებული. მის სახელს უკავშირდება ვანის რაიონში შობის ღვთისმშობლის სახელობის ტაძრის აგება. ასევე საქველმოქმედო შემწეობა აქვს გაღებული ვანის რაიონის საკათედრო ტაძრის აშენებისას. თანამონაწილეობა აქვს მუსკომედიის თეატრის აღდგენაში. მისი დაფინანსებით გამოიცა პატრიარქის წერილების მე-2 სახელმძღვანელო და კიდევ სხვა მრავალი საქველმოქმედო ღონისძიება. ეს მხოლოდ მისი სახელით გაწეული შემწეობებია. ცალკეა ის საქველმოქმედო კამპანია, რომელიც მისი კომპანიების სახელით განხორციელდა. ნიშანდობლივია და ბატონი ავთოს თავმდაბლობაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ მას აღნიშნული ქველმოქმედების აფიშირება არ უყვარს. არის მზრუნველი ბაბუა და მამა.

ბატონ ავთოს 60 წლის იუბილეს ულოცავენ მისი ქალიშვილი, ირინა იაშვილი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნესინჟინერინგის ფაკულტეტის სრული პროფესორი, შვილიშვილები გიორგი და დათი. ასევე მისი კოლეგები, თანამშრომლები და ახლობლები, რომლებიც ღვაწლმოსილ პიროვნებას ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლესა და წარმატებებს უსურვებენ.

თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის ორკესტრი და საბალეტო დასი ალ ბუსტანის ფესტივალში მიიღებს მონაწილეობას

თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის პროფესიული სახელმწიფო თეატრის ორკესტრი და საბალეტო დასი ბეირუთში (ლიბანი) ალ ბუსტანის 21-ე საერთაშორისო ფესტივალში მიიღებს მონაწილეობას. ალ ბუსტანის საერთაშორისო ფესტივალის მუსიკალური ხელმძღვანელია თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის მთავარი დირიჟორი ჯანლუკა მარჩანო.

წელს ფესტივალი 18 თებერვალს დაიწყება და 23 მარტამდე გასტანს. ამჯერად, ფესტივალი თბილისის ოპერის თეატრის ორკესტრის კონცერტით გაიხსნება. შესრულდება ანტონინ დვორჟაკის უვერტიურა „ბუნების წიაღში“ და მე-9 სიმფონია „ახალი სამყაროდან“, ნინო როტას სიუიტა, რობერტო მოლინელის „გაზაფხულის გული“ და „ქარბუქიანი ზამთარი“. სოლისტის ამპლუაში წარსდგება მსოფლიო აღიარების მქონე ბანდონეონისტი მარიო სტეფანო პიეტროდარკი. იგივე პროგრამა შესრულდება 20 თებერვალსაც.

22 თებერვალს თბილისის ოპერის თეატრის ორკესტრი სცენაზე ფრანგ მევიოლინე ალექსანდრა სუმთან ერთად გამოვა. პროგრამაშია ფელიქს მენდელსონის უვერტიურა „ჰებრიდები“, ლუდვიგ ვან ბეთჰოვენის სავიოლინო კონცერტი და პეტრე ჩაიკოვსკის პირველი სიმფონია.

ქართულ ორკესტრს ფესტივალის აუდიტორია 26 თებერვალსაც მოუსმენს. ამჯერად შესრულდება უვერტიურა კარლ მარია ვებერის ოპერიდან „ჯადოსნური მსროლელი“, პეტრე ჩაიკოვსკის მეოთხე სიმფონია, სოპრანო ჯოჰანი ფონ ოოსტრუმი იმღერებს რიხარდ შტრაუსის „ოთხ უკანასკნელ სიმღერას“.

ალ ბუსტანის ფესტივალის მსმენელეთა წინაშე ჩვენი ორკესტრი ბოლოს 28 თებერვალს წარსდგება — მევიოლინე სერგეი კრილოვთან ერთად დაუკრავს პეტრე ჩაიკოვსკის სავიოლინო კონცერტს, პროგრამაშია ასევე უვერტიურები ჯოაკინო როსინის ოპერებიდან „ვილჰელმ ტელი“, „სევილიელი დალაქი“, „კონკია“ და ჩაიკოვსკის უვერტიურა „ჭექა-ქუხილი“.

ხუთივე კონცერტს ჯანლუკა მარჩანო უდირიჟორებს.

ევროპის საფესტივალო ასოციაციის წევრის, ალ ბუსტანის მუსიკისა და ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალის აუდიტორიის წინაშე თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის ორკესტრი ამჯერად უკვე მეოთხედ წარსდგება (2011 წლიდან ყოველწლიურად მონაწილეობს ფესტივალში), რაც, ცხადია, გასულ წლებში მიღწეული დიდი წარმატების დასტურია.

წლეულს ფესტივალში პირველად მიიღებს მონაწილეობას თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის საბალეტო დასი. 15 და 16 მარტს მაყურებელი იხილავს სპექტაკლებს „შოპენიანა“ და „მარგარიტა და არმანი“, სადაც მარგარიტას როლს პრიმა-ბალერინა ნინო ანანიაშვილი შეასრულებს, იგი ასევე იცეკვებს კამილ სენ-სანსის მომაკვდავ გედს.

ალ ბუსტანის ფესტივალზე წლეულს იმღერებს თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტი ირაკლი მურჯიკნელი — ის 19 მარტს იასკო ფუჯიისთან, კლეარ პრისლენდთან, საშა ჩანოსთან, ლიბანის კონსერვატორიისა და ანტონინის უნივერსიტეტის გუნდებთან, სომხეთის სახელმწიფო ახალგაზრდულ სიმფონიურ ორკესტრთან ერთად მონაწილეობას მიიღებს ბეთჰოვენის მეცხრე სიმფონიის შესრულებაში. ამ კონცერტსაც ჯანლუკა მარჩანო იდირიჟორებს.

რომელი ქვეყნებიდან ხორციელდება საქართველოში ყველაზე მეტი ვიზიტი

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტი მიმდინარე წელსაც აგრძელებს საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე გადაადგილებულ პირთა შესახებ ინფორმაციის გასაჯაროებას და წარმოგიდგენთ 2014 წლის იანვრის თვის სტატისტიკურ მონაცემებს. ამა წლის იანვარი 319 499 ვიზიტით განისაზღვრა, რაც 2013 წლის იგივე პერიოდის მაჩვენებელზე 14,1 %-ით მეტია.

ამასთან, შემოღებული პირობითი დაყოფის მიხედვით, ხვედრითი წილის ურთიერთმიმართება შემდეგია:

ა) ტურისტი — 122 714 ვიზიტი (საერთო რაოდენობის 38,4%, მატება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან 16,6%);

ბ) ტრანზიტი — 53 241 ვიზიტი (საერთო რაოდენობის 16,6%, მატება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან 67%);

გ) სხვა — 143 544 ვიზიტი (საერთო რაოდენობის 45%, მატება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან 0,5%).

2014 წლის იანვარშიც ყველაზე მეტი ვიზიტი კვლავ თურქეთიდან (-13,6%), აზერბაიჯანიდან (+21,1%), სომხეთიდან (+44,9%), რუსეთიდან (+54,9%), უკრაინიდან (+72,3%) და ირანიდან (-17%) განხორციელდა. ასევე, პოზიტიური ტენდენცია ნარჩუნდება ევროკავშირის ქვეყნების მიმართულებიდან, საიდანაც საქართველოში ჩამოსვლების რაოდენობის გაზრდილი მაჩვენებლებით იანვარში გამოირჩა პოლონეთი, იტალია და ლატვია (შესაბამისად 163%, 16%, და 14%), შუა აზიის ქვეყნებიდან — ყაზახეთი (31%), ახლო აღმოსავლეთიდან — ისრაელი (15%), ხოლო აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებიდან კი — ბელორუსიისა და მოლდოვას მოქალაქეები 48% და 23%-იანი მატებით.

„ვერსიანიუსი“

ევროკავშირმა უფრო მეტად უნდა გარისკოს, რათა ბოლო მოუღოს აღმოსავლეთ ევროპის იზოლაციას



თომას დე ვაალი
Bloomberg

რუსეთის პრეზიდენტის, ვლადიმერ პუტინის შეხვედრა ევროკავშირის ლიდერებთან ბრიუსელში, ბოლო ოცი წლის განმავლობაში ყველაზე ცივ სამიტად შეიძლება იქცეს, რადგან მხარეებს შორის უკრაინაში მიმდინარე პროცესებზე შეხედულებები გაიყო, თუმცა უკრაინული კრიზისი, იმავდროულად, იმის შეხსენებად უნდა იქცეს, რომ აღმოსავლეთ ევროპისა და სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს გაცილებით მასშტაბური პრობლემები აქვთ. ეს ქვეყნები ევროკავშირის აღმოსავლეთევროპული პარტნიორობის პროგრამის წევრები არიან. ისინი ევროკავშირსა და რუსეთს შორის ბუფერის როლს ასრულებენ და გამოკიდებულ და მივიწყებულ მდგომარეობაში არიან. ისინი დანარჩენ ევროპაზე ბევრად ღარიბები არიან და უზარმაზარი კონფლიქტური პოტენციალი გააჩნიათ.

რუსეთის ჰეგემონიური ჩვევები, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვან პრობლემებს უქმნის ქვეყნების ამ ჯგუფს, სადაც სომხეთი, აზერბაიჯანი, ბელარუსი, საქართველო, მოლდოვა და უკრაინა შედიან, მაგრამ კიდევ უფრო დიდ დაბრკოლებას უქმნის მათ საკუთარი უუნარობა, გააკეთონ სტრატეგიული არჩევანი და იარონ ამ არჩეულ გზაზე. კარგი ამბავია ის, რომ საქართველომ და მოლდოვამ გადაწყვიტეს ევროპისკენ სვლა, მოახდინეს რა ასოცირების შეთანხმების პარაფირება. ამ შეთანხმებაზე უკრაინის პრეზიდენტმა იანუკოვიჩმა ნოემბერში უარი თქვა. მის გადაწყვეტილებას არეულობის ტალღა მოჰყვა, რომელმაც მთელი ქვეყანა მოიცვა. ევროკავშირისთვის საკითხი ასე დგას, უნდა თუ არა მას მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა თავისი აღმოსავლელი მეზობლების განვითარებაზე. თუ უნდა, მაშინ მან უფრო აქტიურად უნდა დაუჭიროს მხარი იმ არჩევანს, რომელიც საქართველომ და მოლდოვამ გააკეთეს.

ევროკავშირმა აღმოსავლეთ პარტნიორობის საკუთარი პროექტი შექმნა იმისთვის, რომ ევროპაში ინტეგრაციის გარკვეული უპირატესობები ეჩვენებინა დაინტერესებული ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებისთვის, თუმცა ევროკავშირის წევრობა მათთვის არ შეუთავაზებია. საქართველომ და მოლდოვამ ყველაზე კარგად შეასრულეს ევროკავშირის მოთხოვნები და ვილნიუსში ასოცირების შეთანხმების პარაფირება მოახდინეს, დაიწყეს რა მოლაპარაკებები სავაჭრო შეთანხმებაზე, რომელიც მათ ერთიან ევროპულ ბაზარზე პრივილეგირებულ წვდომას ჰპირდება. რუსეთი, რომელმაც დააშინა და ამით ხელი შეუშალა სომხეთსა და უკრაინას, ხელი მოეწერათ ასეთ შეთანხმებაზე, ახლა მუქარანარევი ტონით მოლდოვას აფრთხილებს, ცდილობს რა გადააფიქრებინოს მას ევროკავშირთან სავაჭრო შეთანხმებაზე ხელმოწერა. პასუხად, ზოგიერთი ამერიკელი და ევროპელი პოლიტიკოსი ევროკავშირს მოუწოდებს, უფრო აქტიურად იმოქმედოს გეოპოლიტიკის ველზე და რუსეთს დაუპირისპირდეს. ეს შეცდომა იქნება. პუტინი ლეონიდ ბრეჟნევი არ არის, ხოლო მისი პროექტი, ევროკავშირის ევრაზიული ალტერნატივის შექმნაზე, შორსაა საბჭოთა კავშირის ინტრიგებისა და მაქინაციებისგან. მაგრამ თუკი საქმე დაპირისპირების ტაქტიკამდე მივა, და გამოყენებული იქნება სანქციები, სავაჭრო ემბარგო და ენერგორესურსებზე ფასთწარმოქმნა, როგორც პოლიტიკური იარაღი, რუსეთი ყოველთვის გაიმარჯვებს. მაგალითად, მოლდოვაში რუსეთს მიზნის მისაღწევად შეუძლია გაზარდოს გაზის ფასი, ოსტატურად მართოს კომუნისტური პარტია, ასევე სეპარატისტული რეგიონი დნესტრისპირეთი.

არასწორი იქნებოდა იმის ფიქრიც, რომ ამ ქვეყნებში ადამიანებს რუსეთზე უარის თქმა უნდათ. რუსეთში ცხოვრობს და მუშაობს ასობით ათასი ადამიანი ამ ქვეყნებიდან და ნატურალიზებული მოქალაქე. ბევრ ქართველს, მოლდოველსა და უკრაინელს უნდა ევროკავშირთან ინტეგრაცია, მაგრამ არა რუსეთთან დიდი ეკონომიკური და კულტურული კავშირების გაწყვეტის ხარჯზე. მაგალითად, ბევრი ქართველი მიესალმა რუსეთთან ურთიერთობის დათბობას, რაც 2012 წელს ხელისუფლებაში „ქართული ოცნების“ მთავრობის მოსვლასა და რუსეთის მტრის, მიხეილ სააკაშვილის წასვლას მოჰყვა. შვიდწლიანი პაუზის შემდეგ რუსულ ბაზარზე ისევ გაჩნდა ქართული ღვინო და სოფლის მეურნეობის პროდუქცია. ლაგდება სატრანსპორტო მიმოსვლა და კომუნიკაციის ხაზები. თუმცა ეს მაინც ცივ მისალმებას უფრო ჰგავს და არა თბილ ჩახუტებას. დიპლომატიური ურთიერთობა კვლავ გაყინულია ხანგრძლივი კონფლიქტის გამო აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიების ირგვლივ, მაგრამ ევროპამ მხარი უნდა დაუჭიროს დაწყებულ დაახლოებას, რადგან ის სასარგებლოა მთელი კავკასიისთვის, ამიტომ ევროკავშირი არ უნდა მოექცეს რუსეთს უფრო მკაცრად (ან რბილად) საქართველოსა და მოლდოვის გამო. მან უნდა დაუტოვოს ბრაზიანი რიტორიკა რუსებს, თავად კი პუტინთან ურთიერთობა განაგრძოს კონკრეტულ, თითოეულ საკითხზე ინდივიდუალური მიდგომის საფუძველზე. ასევე, ევროკავშირი უფრო ჭკვიანურად უნდა მოიქცეს, რათა ადგილებზე გაიმარჯვოს ევროპულ ინტეგრაციასთან დაკავშირებულ კამათში.

ამ ტიპის კამათის წარმოება და არგუმენტების მოყვანა ძალიან რთული იქნება. საქართველოს ევროპულ მომავალს საფრთხეს უქმნის არა რუსული არმია, არამედ იზოლაციონისტთა ბანაკი, რომელსაც მართლმადიდებელი ეკლესიის მნიშვნელოვანი ნაწილის მხარდაჭერა აქვს და ევროპაში მხოლოდ დაცემის და ჰომოსექსუალიზმის გაძლიერების ნიშნებს ხედავს. ევროკავშირმა ამას უფრო მკაფიო და გასაგები განცხადებები უნდა დაუპირისპიროს იმის შესახებ, თუ რას ემხრობა ის. მას შესანიშნავი რამ აქვს გასაყიდად: 28 ევროპული ეკონომიკის მშვიდობიანი ინტეგრაცია, მიუხედავად იმისა, რომ ხშირად მას ფარავს ნაკლებად გასაგები ტექნიკური ჟარგონი. თუკი ევროკავშირის ჩინოვნიკები შეძლებენ, გასაგები ენით ახსნან თავისუფალი სავაჭრო ზონის უპირატესობები ბიზნესისა და ვაჭრობისთვის ამ ქვეყნებში, მათ შორის, იქ მოქმედი რუსული კომპანიებისთვის, საქმის ნახევარი გაკეთებული იქნება.

ევროკავშირის პაკეტი საქართველოსა და მოლდოვასთვის შემდეგი ასოებისგან შედგება: „ფ“, „მ“ და „ბ“ — ფული, მობილურობა და ბაზრები. ეს ნიშნავს ვიზების გაფორმების პროცედურის დაჩქარებას, რაც ქართველებსა და მოლდოველებს ევროკავშირში გამგზავრებას გაუიოლებს; ეს ნიშნავს ასევე ტექნიკური დახმარების გაზრდას, რაც შეამსუბუქებს იმ ტვირთს, რომელიც ფერმერებსა და ბიზნესმენებს დააწვება მხრებზე ევროკავშირის წესებისა და ახალი ნორმების ამოქმედების გამო, როდესაც ეს ორი ქვეყანა დაიწყებს სვლას ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის ზონისკენ. ამ პროცესის ამოქმედებისა და რეგიონის მუდმივი მივიწყების მდგომარეობიდან გამოყვანისთვის, ევროკავშირმა და საქართველოსა და მოლდოვის ელიტებმა (მომავალში, შეიძლება, უკრაინის ელიტამაც) სიმამაცე უნდა გამოიჩინონ. ასეთი სულისკვეთებით მოქმედების შემთხვევაში, ევროკავშირი შეიძლება გამოვიდეს წინადადებით, რომელიც ძალიან განსხვავებული იქნება ყველა დანარჩენისგან: გრძელვადიან პერსპექტივაში დახატოს მეოთხე ასო „წ“, რომელიც აღნიშნავს ევროკავშირის წევრობას, რაც მან ძალიან წარმატებით გააკეთა ცენტრალურ ევროპასა და ბალკანეთში. პოსტსაბჭოთა სახელმწიფოების ეს ექვსეული ათწლეულობით ჩამორჩება ევროკავშირის სტანდარტებს, რის გამოც ბლოკის დანარჩენ წევრ ქვეყნებს შიშის საფუძველი არ აქვთ. როდესაც წევრობის შესაძლებლობები გაჩნდება, ხოლო პირობები შესრულდება, საქართველო და მოლდოვა ადგილს დაიკავებენ რიგის ბოლოს, ისეთი ქვეყნების შემდეგ, როგორებიცაა სერბეთი და თურქეთი. ასეთი დაპირებაც კი შეცვლის ძალთა სტრატეგიულ განლაგებას და ქართველებს, მოლდოველებს, უკრაინელებსა და რეგიონის სხვა ქვეყნების მოქალაქეებს ევროპული მომავლისკენ სწრაფვის შესაძლებლობას მისცემს.

„გრძელი ნათელი დღეები“ ორი თბილისელი გოგოს ცხოვრების შესახებ

„გაფურჩქვნის“ ასაკში მყოფი, 14 წლის საუკეთესო მეგობრები ეკა და ნათია არასტაბილურ და სახიფათო გარემოში ცხოვრობენ. 1992 წელია და მათ სამშობლოში, ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკა საქართველოში, ომია გაჩაღებული. გოგონები თბილისში ცხოვრობენ, და ბრძოლა, რომელიც აფხაზეთის ჩრდილოეთში მიმდინარეობს, თბილისიდან შორსაა. მაგრამ კონფლიქტის თემა ხშირად იჩენს თავს მოზარდთა ლაპარაკში, იმ შემთხვევაში, თუ უფროსები სხვა რამეზე არ ჩხუბობენ და ყვირიან.

ნათიას მშობლები ქრონიკულად ჩხუბობენ. ამ ჩხუბს ხანდახან ბებიაც უერთდება. ეკას ბინა ცოტათი უფრო წყნარი გვეჩვენება, მაგრამ ამის მიზეზი შესაძლოა ის იყოს, რომ მამამისი ციხეში ზის. სკოლაში მასწავლებელი ცდილობს, დააშინოს და დაამციროს ბავშვები, მანამ, სანამ კლასზე კონტროლს არ კარგავს. ქუჩებში პურის რიგში ჩამწკრივებული მოქალაქეები ერთმანეთს ეჯიკავებიან და ლანძღავენ. 1990-იანი წლების დასაწყისში უამრავი დისკუსია მიმდინარეობდა სამოქალაქო საზოგადოების როლზე პოსტკომუნისტურ ქვეყნებში, მაგრამ ფილმის ავტორების, ნანა ექვთიმიშვილისა და სიმონ გროსის მიერ აღწერილ ამ საზოგადოებაში სწორედ რომ სამოქალაქო შეგნების დეფიციტია სახეზე.

„გრძელი ნათელი დღეები“, რომელიც საქართველომ ოფიციალურად გააგზავნა ოსკარის ცერემონიალზე საუკეთესო უცხოენოვანი ფილმის ტიტულის მოსაპოვებლად, იმ ერთ მუჭა თანამედროვე ფილმების რიცხვს მიეკუთვნება, რომლებიც ახლანდელ პატრიარქალურ კულტურებში ქალის როლს უსვამს ხაზს. ისეთი ფილმების მსგავსად, როგორიცაა „ვაჯდა“, „შეავსე სიცარიელე“, „ჯორჯის დედა“ (3 მაგალითი რომ დავასახელოთ) და სხვები, „გრძელი ნათელი დღეებიც“ პირდაპირ წარმოგვიდგენს იმ დაბრკოლებებს, რომლებსაც მისი პერსონაჟები აწყდებიან და ამ ყველაფერს ქვეცნობიერი ფემინისტური მგრძნობელობისა და ტრადიციების ძალისადმი პატივისცემის სინთეზირებით ახერხებს.

ფილმის სათაური მიუთითებს როგორც ეკას თვითშეგნების გამოღვიძებაზე, ასევე იმ ფაქტზე, რომ ნათია (რომელსაც უფრო მოწიფულის შეხედულება აქვს და უფრო თამამადაც იქცევა) მამაკაცთა ყურადღების მიპყრობას იწყებს. მისი ფლირტი ლადოსთან თავიდან მოზარდთა უმანკო რომანს ჰგავს, მაგრამ შემდეგ, ყვავილებისა და ტკბილეულის ნაცვლად ლადო მას იარაღსა და ტყვიას აძლევს და თან ჰპირდება, რომ მომავალში უფრო მეტ ტყვიას უშოვის. პისტოლეტი იარაღს მიუჩვეველ ეკასა და ნათიას შორის ხელიდან ხელში გადადის, ახდენს რა იმ ლატენტური ძალადობის სიმბოლიზებას, რომელიც გოგონათა ცხოვრების ყველა ასპექტში იჩენს თავს, მაგრამ მისი დანიშნულებაა, ნათიას გატაცებისაგან და სხვა კაცთან იძულებითი ქორწინებისგან თავის დაცვაში დაეხმაროს.

ეს ტრადიცია, რომელსაც ზოგჯერ გოგოს მოტაცებას უწოდებენ, საქართველოში ახლა კანონსაწინააღმდეგო ქმედებაა, მაგრამ ისევ ფართოდაა გავრცელებული ცენტრალურ აზიაში, კავკასიასა და მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში. ეკას ნათიას მოტაცების ფაქტი თავზარს სცემს, მაგრამ ეს რეაქცია მხოლოდ მას აქვს. ნათიაც კი შეგუებულია თავის ახალ მდგომარეობას და ქმრის სახლი თავისი მშობლების სახლზე უფრო წყნარიც კი ეჩვენება.

„გრძელი ნათელი დღეები“, რომელშიც ქ-ნი ექვთიმიშვილის მოგონებებიცაა ასახული ისევე, როგორც სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნებში შექმნილი ბევრი ფილმი, თავის მძიმე და არასენტიმენტალური ხასიათით სწორედ ეკას ჩამოჰგავს. რუმინელი კინოოპერატორის, ოლეგ მუტუს მიერ გადაღებული ეს ფილმი ინარჩუნებს იმ საფირმო ბუნებრივ მკაფიოობასა და ოსტატურ ექსპრესიულობას, რომელიც მის სხვა ნამუშევრებშიც (მაგ. „დოქტორ ლაზარუსის სიკვდილი“, „4 თვე, 3 კვირა და 2 დღე“) გვხვდება. ორი წამყვანი მსახიობის — ლიკა ბაბლუანისა (ეკა) და მარიამ ბოკერიას (ნათია) თამაში პირდაპირი და უშუალოა, მაგრამ ინარჩუნებს იმ იდუმალებას, რომელიც მგრძნობიარე რეჟისორის ხელში მოხვედრილი არაპროფესიონალი მსახიობების თამაშს ახასიათებს. ხშირად მაყურებელს იმ ემოციებში გარკვევა უწევს, რომელიც ფილმის გმირებს, შესაძლოა, ჯერ ბოლომდე გააზრებული არც აქვთ.

New York Times

სუდოკუ ფანია

ადვილი

4		5			1		7	
	8				4			1
		2	8					9
5	7							
2	6		1		9		5	8
							1	2
6					8	1		
8			4				2	
	3		6			4		5

სტანდარტი

	7							
	6		2		4			
	3	9					1	
	9	6	4		3			
	1	4		2		8	7	
			5		7	4	6	
	5					1	2	
			6		9		3	
							4	

რთული

		9		6		1		7
7			4					
	5					6		
	4		8		6			1
		7		9		8		
6			1		3		9	
		6					7	
					2			5
3		2		5		9		

ექსპერტი

	4						8	
3		2	9	6				
	9			7		3		6
			4			1		
9	6			8			3	2
		4			3			
8		9		2			4	
				5	9	8		3
	1						5	

კიბოს დაბინძურებული ჰაერი იწვევს

კიბოს შემსწავლელი საერთაშორისო სააგენტოს ექსპერტები აცხადებენ, რომ ადამიანებში ონკოლოგიურ დაავადებათა წარმოშობის ძირითადი მიზეზი დაბინძურებული ჰაერია. როგორც ორგანიზაციის წარმომადგენლები აცხადებენ, მათი სპეციალისტების განკარგულებაში საკმაოდ „წონიანი“ მტკიცებულებებია იმისა, რომ სწორედ დაბინძურებული ჰაერი ავითარებს სიმსივნეს, განსაკუთრებით კი, თუ საუბარია ფილტვებისა და შარდის ბუშტის კიბოზე. სააგენტოს სწავლულებმა მონაცემების გაანალიზება 2010 წლიდან დაიწყეს. 223 ათას შემთხვევაში დაავადების მთავარი მიზეზი სწორედ დაბინძურებული ჰაერი აღმოჩნდა. ექსპერტებმა ასეთი დასკვნა ურიცხვი სამედიცინო კვლევის შედეგად მიიღეს, რომელიც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ჩაატარეს ბოლო სამი წლის განმავლობაში. ამან საშუალება მისცა, ფილტვების ონკოლოგიასა და დაბინძურებულ ჰაერს შორის პირდაპირი კავშირი აღმოეჩინათ და ეს უკანასკნელი კანცეროგენების სიაში შეიყვანეს. სპეციალისტების განცხადებით, ამ მხრივ, განსაკუთრებით სავალალო მდგომარეობა ჩინეთსა და ინდოეთშია. ევროპის ქვეყნებს შორის, დაბინძურებით გამოწვეული საშიშროება ბულგარეთსა და პოლონეთს ემუქრება, დიდი რისკის ქვეშაა საფრანგეთიც. დაბინძურებული ჰაერი ყველაზე მავნე გავლენას 50 წელს მიღწეულ ადამიანებზე ახდენს. სტატისტიკის მიხედვით კი, ყოველწლიურად მსოფლიოში კიბოთი ექვსი მილიონი ადამიანი ავადდება.

შაკიკს ახალი მეთოდით უმკურნალეს

ბრიტანელმა მეცნიერებმა ახალი აპარატი შექმნეს, რომელსაც გახშირებულ სენთან — შაკიკთან საბრძოლველად გამოიყენებენ. სპეციალური მოწყობილობას, ქირურგიული გზით, ცხვირში ჩადგამენ, მისი ჩართვა-გამორთვა სპეციალური დისტანციური პულტის მეშვეობით მოხდება და თუ ადამიანს ძლიერი თავისტკივილი შეაწუხებს, აპარატის მეშვეობით უმნიშვნელო ელექტრულ მუხტს გამოიწვევს, შედეგად მოიყინება ნერვული დაბოლოებები და ტკივილიც დაამდება. სტატისტიკის თანახმად, მარტო დიდ ბრიტანეთში ხუთ მილიონამდე ადამიანს აწუხებს შაკიკი, რისი გამომწვევი მიზეზი დღემდე დაუდგენელია, სამაგიეროდ ცნობილია, რომ თავისტკივილისას ორგანიზმში იკლებს სეროტონინის — „ბედნიერების“ ჰორმონის დონე, ამ დროს თავში სისხლძარღვები ვიწროვდება, მკვეთრი შუქი თვალს ჭრის და უარესდება მხედველობაც. სწავლულები მიიჩნევენ, რომ შაკიკის მკურნალობის ახალი მეთოდი ბევრ პაციენტს თავისტკივილს დაუამებს და აღარ დასჭირდებათ უამრავი აბის მიღება, რომელთაგან ზოგიერთს საკმაოდ ბევრი გვერდითი მოვლენა ახასიათებს.

გოგოს გაჩენისთვის ცოლი დაწვა

ინდოეთის ერთ-ერთ შტატში ტრაგედია დატრიალდა — მამაკაცმა მეუღლე და ახალშობილი გოგონა ცოცხლად დაწვა, რადგან ჩვილის სქესით უკმაყოფილო იყო. როგორც ინდოელმა სამართალდამცავებმა განაცხადეს, 22 წლის ქალს ქმარმა ცეცხლი მაშინ წაუკიდა, როცა ახალშობილს ძუძუს აწოვებდა. მეზობლებმა დედა-შვილი საავადმყოფოში გადაიყვანეს, მაგრამ მათი გადარჩენა ვეღარ მოხერხდა. პოლიციამ დამნაშავე უკვე დააკავა და ახლა მის თანამზრახველ ძმას ეძებენ. როგორც ქალის მამა აცხადებს, ერთი წლის განმავლობაში წყვილი ბედნიერად ცხოვრობდა, პრობლემები კი მაშინ დაიწყო, როცა ოჯახში, ბიჭის ნაცვლად, გოგონა გაჩნდა.

წინა ნომერში გასუდოკუ სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

ადვილი

8	1	9	2	7	6	5	4	3
3	2	5	4	1	9	6	7	8
7	6	4	8	3	5	2	1	9
9	8	2	1	5	4	3	6	7
6	5	7	9	8	3	1	2	4
4	3	1	7	6	2	9	8	5
5	7	3	6	4	1	8	9	2
1	9	8	5	2	7	4	3	6
2	4	6	3	9	8	7	5	1

სტანდარტი

4	2	3	7	1	5	9	8	6
8	7	5	6	9	4	3	2	1
1	6	9	2	3	8	5	4	7
5	4	8	3	6	1	7	9	2
6	3	2	9	5	7	4	1	8
9	1	7	8	4	2	6	5	3
3	8	1	5	7	9	2	6	4
2	5	6	4	8	3	1	7	9
7	9	4	1	2	6	8	3	5

ადვილი

4	3	2	1	9	8	7	6	5
8	1	9	6	7	5	2	4	3
7	6	5	4	3	2	1	9	8
1	8	7	5	6	9	4	3	2
2	5	6	8	4	3	9	1	7
9	4	3	2	1	7	8	5	6
6	2	1	3	8	4	5	7	9
3	9	8	7	5	1	6	2	4
5	7	4	9	2	6	3	8	1

სტანდარტი

7	6	3	1	4	2	5	8	9
5	4	2	9	6	8	7	3	1
1	9	8	7	3	5	6	4	2
4	3	7	2	5	6	1	9	8
6	8	1	4	9	3	2	7	5
2	5	9	8	7	1	4	6	3
3	7	6	5	2	9	8	1	4
9	1	5	6	8	4	3	2	7
8	2	4	3	1	7	9	5	6

რთული

6	1	7	3	5	4	9	2	8
5	8	4	2	1	9	7	6	3
3	2	9	8	7	6	4	5	1
2	9	5	6	4	3	1	8	7
7	3	1	9	8	5	6	4	2
4	6	8	7	2	1	5	3	9
1	5	3	4	9	2	8	7	6
9	7	6	5	3	8	2	1	4
8	4	2	1	6	7	3	9	5

ექსპერტი

4	3	2	9	1	6	8	7	5
9	1	8	7	5	4	6	3	2
7	6	5	3	2	8	4	1	9
5	4	3	2	9	1	7	8	6
8	2	6	5	4	7	3	9	1
1	9	7	8	6	3	5	2	4
6	8	4	1	3	9	2	5	7
2	7	1	4	8	5	9	6	3
3	5	9	6	7	2	1	4	8

რთული

3	2	1	9	6	8	7	5	4
5	9	4	1	3	7	2	8	6
6	8	7	5	4	2	3	1	9
9	5	2	8	7	4	1	6	3
1	7	6	3	2	9	8	4	5
4	3	8	6	5	1	9	2	7
2	6	5	7	1	3	4	9	8
7	4	9	2	8	6	5	3	1
8	1	3	4	9	5	6	7	2

ექსპერტი

8	3	2	5	9	6	1	7	4
1	9	7	4	3	2	8	5	6
5	6	4	1	8	7	3	2	9
4	5	6	8	2	1	9	3	7
7	2	3	9	6	4	5	1	8
9	8	1	7	5	3	6	4	2
6	7	9	3	4	5	2	8	1
3	1	8	2	7	9	4	6	5
2	4	5	6	1	8	7	9	3

მე-13 გვერდი: 1. ტრიკონი; 2. ბურდუხანი; 3. დიღომი; 4. ხულო; 5. რეფერატი; 6. კატამარანი; 7. ნიში; 8. სეიმი; 9. იერო; 10. ლალიძე; 11. ფეტიში; 12. ირიბი; 13. ხომლი; 14. იდეალი; 15. ოხრა; 16. რეიდი; 17. რომი; 18. ინფექცია; 19. რენძიუ; 20. ზეტი; 21. იაზონი; 22. ლაბა; 23. ტორი; 24. ფორტისიმო; 25. ელვა; 26. კოკა; 27. შტოში; 28. შპაგატი; 29. კოლიზეუმი; 30. კალედონია; 31. ონი; 32. აგარა; 33. სპა; 34. ანალიზი; 35. ეპოსი; 36. რე; 37. ამელია; 38. ენოტი; 39. „ლოლიტა“; 40. ომეგა; 41. აგა; 42. ქვა; 43. ნომადიზმი; 44. ნესვი; 45. ზედაშე; 46. ამნერისი; 47. ექსპონატი; 48. არნო; 49. არალი; 50. ლოს; 51. არალი; 52. ურნა; 53. ტინდარე; 54. არფა; 55. ისტორია; 56. ქიმია; 57. ნატრიუმი; 58. ატამი; 59. მიკიტანი; 60. „აეკი“; 61. პლისე; 62. ასაგაი; 63. არზა; 64. სოლი; 65. ბუბა; 66. ბია; 67. ფიდიასი; 68. ბასტარდი; 69. სოპრანო; 70. იულ; 71. ტიკი; 72. არტურ; 73. დეილ; 74. ედი; 75. მული; 76. დიეზი; 77. დასი; 78. ლიბერიის; 79. გაისკა; 80. ლითიუმი; 81. არე; 82. ერი.

მე-16 გვერდი: 1. დინამიტი; 2. იუანი; 3. ალაფი; 4. ირაო; 5. კრომველი; 6. რეტრო; 7. მორატორიუმი; 8. ევანგელე; 9. ქარავანი; 10. ნერეიდა; 11. პრომილე; 12. მხედრული; 13. შტურვალი; 14. ნიანგი; 15. ესენტუკი; 16. იბისი; 17. პინია; 18. ფიცი; 19. ფისი; 20. ასპინძა; 21. რახი; 22. მონტეგი; 23. იოსები; 24. მედეო; 25. ოვალი; 26. ესენინი; 27. პირლო; 28. იკი; 29. შოუ; 30. ყვარელი; 31. ვირაჟი; 32. რული; 33. ველ; 34. შლეიფი; 35. ტუგრიკი; 36. კანოე; 37. ნაიკი; 38. გამა; 39. ვეჩე; 40. კალაძე; 41. მუმია; 42. მერხი; 43. ლაურა; 44. ეტნა; 45. ჟელე; 46. ეკი; 47. ალაგე; 48. ლორი; 49. ლილვი; 50. ფეისი; 51. ვარია; 52. ალა; 53. იასირ; 54. ჩივაძე; 55. ვერე; 56. ტირე; 57. ნარი; 58. პრემია; 59. აბაშიძე; 60. ჩე; 61. ავენიუ; 62. არვე.

ჰოროსკოპი
5 თებერვალი

ვერძი — ცუდი დღე არ არის, მაგრამ მუდმივი მერეკობის გამო, შესაძლოა, პრობლემები შეგექმნათ. თუ გადაწყვეტილების მიღება გიჭირთ, რჩევა კომპეტენტურ ადამიანებს ჰკითხეთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, წარმატებას ვერასოდეს მიაღწევთ.

კურო — პოზიციები რომ გაიმაროთ, გამოიჩინეთ ინიციატივა და სათანადო მონდომება. თქვენი წარმატება მხოლოდ იმაზე იქნება დამოკიდებული, რამდენად მიზანდასახული ხართ.

ტყუპები — მოვლენები, შესაძლოა, ისე არ განვითარდეს, როგორც ვარაუდობდით, თუმცა ამის გამო დეპრესიაში ნუ ჩავარდებით, საკუთარი პროფესიონალიზმი და ინტუიცია ბიზნესპარტნიორებთან ურთიერთობის დარეგულირებაში დაგეხმარებათ.

კირჩხიბი — არ დირს მხოლოდ პრაგმატული გადაწყვეტილებების მიღება, გაითვალისწინეთ, რომ ცხოვრებაში კარიერისა და პირადი სარგებლის გარდა სხვა, უფრო მნიშვნელოვანი ფაქტორებიც არსებობს.

ლომი — ვარსკვლავები გირჩევენ, მოვლენების ეპიცენტრს გაერიდოთ და არანაირ პროვოკაციას არ აუვეთ, მით უმეტეს, რომ ფინანსური ფონი არასტაბილურია და ნებისმიერი წინდაუხედავი ნაბიჯი პრობლემებს შეგიქმნით.

ქალწული — უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩნდებით, მაგრამ ეგელაფერს ადვილად გამოასწორებთ, თუ გითარების ადეკვატურად იმოქმედებთ, ემოციებს არ აუვებით და ნაკლებად კრიტიკული იქნებით გარშემომყოფების მიმართ.

სასწორი — გაანალიზეთ, რა უფრო მნიშვნელოვანია თქვენთვის — საკუთარი კაპრიზები თუ საყვარელი ადამიანების კეთილდღეობა. ეველაფერი კარგად აწონ-დაწონეთ და ისე მიიღეთ გადაწყვეტილება.

ღრიანკალი — ვარსკვლავები გირჩევენ, არ ჩაერთოთ დისკუსიაში, სადაც საკუთარ სიმართლეს ვერაფრით დაამტკიცებთ. ჯობებს, ეველაფერი დროს მიანდოთ — მალე ეველაფერი ჩვეულ კალაპოტს დაუბრუნდება.

მშვილდოსანი — თუკი მიზნის მიღწევა გადაწყვიტეთ, არაფრის წინაშე დაიხიოთ უკან. მხოლოდ პრინციპულობის წყალობით მიაღწევთ წარმატებას, სხვაგვარად არსებულ პრობლემებს ვერ მოაგვარებთ.

თხის რქა — დაძაბული დღეა, თუმცა გაქვთ ძალა, გუმელავდეთ ნებისმიერ სიძნელეს და გადალახოთ ეველა დაბრკოლება. ერთადერთი, რაც არ უნდა დაივიწყოთ, ჯანმრთელობაზე ზრუნვაა.

მერწყული — შექმნილი ვითარება ინიციატივასა და მკაცრ თანმიმდევრულობას მოითხოვს. სხვაგვარად კარიერული წინსვლის იმედი არ უნდა გქონდეთ — დაუმტკიცეთ უფროსობას, რომ ნებისმიერ საქმეს გაართმევთ თავს.

თევზები — დასვენების ნაცვლად, მუშაობა მოგიწევთ. თანაც, პარალელურად, ძველი საქმე უნდა დასრულოთ და ახლიც დაიწყოთ, თუმცა ნურც ოჯახის წევრებს დაივიწყებთ — მათ თქვენი ყურადღება ძალიან სჭირდებათ.

ურუგვაელებს კანაფის მოყვანას ასწავლიან

ამ სამხრეთამერიკულ ქვეყანაში კანაფის მწარმოებელთა ეროვნულმა ფედერაციამ სპეციალური კურსები გახსნა, სადაც მსურველებს ამ მცენარის მოყვანასა და მოვლას ასწავლიან, თუმცა ახალი კურსები მხოლოდ ერთ-ერთია ხელისუფლების გადაწყვეტილებათაგან, რომელიც მარიხუანას ბრუნვასა და მისი მოხმარების კონტროლს უკავშირდება. აღსანიშნავია, რომ გასული წლის ბოლოს პრეზიდენტმა მუხიკამ ხელი მოაწერა კანონს მარიხუანას მოყვანისა და მოხმარების სრული ლეგალიზების შესახებ.

ნაგვის ქურდობისთვის ასამართლეს

დიდი ბრიტანეთის მცხოვრები სასამართლოს წინაშე კონტეინერიდან ნაგვის მოპარვის გამო წარსდგება, რომელიც ლონდონის ერთ-ერთ სუპერმარკეტთან დგას. საქმის გამოძიების მასალებით, რომელიც სუპერმარკეტის წარმომადგენელთა საჩივრის საფუძველზე აღიძრა, ვებდიზაინერმა პოლ მეიმ, ორ მეგობართან ერთად, რამდენიმე თვის წინ ნაგვის კონტეინერიდან უტილიზაციისთვის განკუთვნილი პომიდორი, სოკო, ყველი და ღვეზელები ამოიღო. „დამნაშავე“ ბრალს არ აღიარებს, ჩადენილს კი თავის გამოკვების სურვილით ამართლებს. მეის ადვოკატებმა პროკურატურას საქმის დახურვა მოსთხოვეს, თუმცა, საქმისადმი „საზოგადოებრივი ინტერესის გამო“, პროკურორებმა ამაზე უარი განაცხადეს.

შეურაცხყოფილმა ცოლმა ქმარს ქონების ნახევარი წაართვა

ლონდონის სასამართლომ მილიონერს ყოფილი ცოლისთვის საკუთარი ქონების ნახევრის გადახდა დააკისრა — ბრიტანელი მამაკაცი, რომლის ქონებაც 20 მილიონ დოლარადაა შეფასებული, მეუღლეს 90-იან წლებში გაშორდა, თუმცა ორივე აცხადებდა, რომ განქორწინების მიუხედავად, პრობლემა არ ჰქონდათ, ერთ ჭერქვეშ ეცხოვრათ. ყველაფერი მაშინ შეიცვალა, როცა მილიონერმა შინ შეყვარებული და მისი 12 წლის ქალიშვილი მიიყვანა საცხოვრებლად, ყოფილ ცოლს კი მოსამსახურეობა შესთავაზა. შეურაცხყოფილი ქალი დაემუქრა, რომ სასამართლოში უჩივლებდა და ასეც მოიქცა, მოსამართლემ კი სამართლიანად მიიჩნია მიტოვებული ცოლისთვის ნახევარი ქონების — 10 მილიონი დოლარის მიკუთვნება.

„ჭკვიანი ჩანთა“ მფლანგველებს საფულეს უმალავს

რთულია, შოპინგის დროს ლამაზი ფეხსაცმლის, სამკაულისა თუ სუნამოს ყიდვისგან თავის შეკავება, მით უმეტეს, რომ საყიდლებზე სიარული რელაქსაციის საუკეთესო საშუალებაა, მაგრამ ზომიერების დაცვა აქაც აუცილებელია და სწორედ მათთვის, ვისაც ცდუნებასთან გამკლავება უჭირს, „ჭკვიანი ხელჩანთა“ შექმნეს, რომელიც, საჭიროების შემთხვევაში, ავტომატურად იკეტება და პატრონს საფულის ამოღების საშუალებას არ აძლევს. CanTas iBag უწოდეს, რომელიც სპეციალური სენსორებითაა აღჭურვილი, მაშინვე განგაშის ზარს რეკს, როგორც კი დახარჯული თანხა დასაშვებ ნორმას სცილდება, აგრეთვე პაწაწინა ნათურები ციმციმებს და ჩანთის მფლობელს მოკლე ტექსტური შეტყობინება ეგზავნება იმის შესახებ, რომ „სახიფათო ზონაშია“.

ჰოროსკოპი
6 თებერვალი

ვერძი — არჩეული გზით იარეთ და ეურადღებას ნუ მიაქცევთ სხვების კრიტიკას — გაითვალისწინეთ, რომ თქვენს წარმატება ბევრს არ ახარებს.

კური — არ დირს რადიკალური გადაწყვეტილების მიღება, ვარსკვლავები არც ამ საქმეებით დაკავებას გირჩევენ, რაც დიდ პასუხისმგებლობასა და თავდაუზოგავ შრომასთანაა დაკავშირებული. ჯობებს ჯანმრთელობას მიხედოთ

ტყუპები — ნუ შეეცდებით მწვერვალების დაპერობას მარტო — მიმოიხედეთ, თქვენს ირგვლივ ბევრი ადამიანია, ვინც სიხარულით დაგეხმარებათ, თუკი სთხოვთ.

კირჩხიბი — გარშემომყოფებთან კონფლიქტს თავი აარიდეთ და სხვა პრობლემებზე გადაერთეთ. იუკვეთ ისეთი, როგორიც სინამდვილეში ხართ და გარშემომყოფები ნაკლებად გაგაკრიტიკებენ.

ლომი — ოპტიმიზმი და რწმენა, რომ წარმატებას მიაღწევთ, გარშემომყოებში დადებით ემოციებს იწვევს. ნუ გაუცრუებთ მათ იმედს — იბრძოლეთ დასახული მიზნის მისაღწევად და საქმიანი მოლაპარაკებაც თქვენთვის სასურველი შედეგით დასრულდება.

ქალწული — მეტად ენდეთ საკუთარ ინტუიციასა და ჯანსაღ აზრს. გარშემომყოფების რჩევა უადგილო იქნება და ამან, შესაძლოა, ჩიხში შეგიყვანოთ — ამიტომ ნუ დაუშვებთ, რომ ისინი ზედმეტად ჩაერიონ თქვენს ცხოვრებაში.

სასწორი — ვარსკვლავები არ გამორიცხავენ, რომ სხვადასხვა დაბრკოლება გაჩნდეს, განსაკუთრებით მაშინ, თუ ახალი ჩანაფიქრი სარისკოა, ამიტომ მაქსიმალურად აარიდეთ თავი კონფლიქტს.

ღრიანკალი — საკუთარი შესაძლებლობების ობიექტურად შეფასება, გულწრფელობა და დიდსულოვნება დაგეხმარებათ წარმატების მიღწევაში, მით უმეტეს, რომ ეოველ წუთს გრძნობთ მეგობრების თანადგომას.

მშვილდოსანი — ნუ დაიტვირთავთ თავს ზედმეტი პრობლემებით და ელოდეთ „ბედნიერ შემთხვევას“. გაიფანტეთ ეველა ეჭვი და ეცადეთ ნაკლებად იფიქროთ არსებულ პრობლემებზე.

თხის რქა — საინტერესო და დატვირთული დღე გაქვთ. ფორტუნა თქვენს მხარესაა, უბრალოდ ზედმეტად არ გარისკოთ.

მერწყული — მშვიდი დღე გელით. ვარსკვლავები გირჩევენ, დაასფასოთ ის, რაც გაქვთ და ერთდროულად ორ კურდღელს არ გამოეკიდოთ.

თევზები — რთული დღე გელით, რადგან ეჭვი გეპარებათ საკუთარ ძალებში. დღის ნეგატიური ტენდენციები მხოლოდ მეგობრებთან ურთიერთობით შეგიძლიათ შეასუსტოთ.

სუდოკუმანია

ადვილი

9		4					6	5
	3			6	9	4		8
						3		
			1	5		9		4
5			3		2			6
4		1		9	6			
		9						
2		8	9	3			5	
1	5					8		3

სტანდარტი

	3				6			4
			4	9	7			1
		7					6	
3	5							
2	1		6		4		8	5
							2	9
	2					5		
6			7	5	2			
5			3				1	

რთული

				4		9		
						6	1	5
1	5		8					
			9			1	4	
		4				2		
	8	2			3			
					2		9	7
6	2	7						
		3		7				

ექსპერტი

2		8		7				
		6						8
	4				1		9	
1				8			5	
	6	5				1	2	
	3			9				6
	5		2				6	
6						7		
				1		4		5

ბოტოქსს აბები შეცვლის

მცენარეულ კომპონენტებზე დამზადებული აბი ეფექტურად შეებრძოლება ნაოჭებს და მათ ინტენსივობას 10%-ით შეამცირებს, — ახალი პრეპარატის ზემოქმედება ბრიტანელმა სწავლულებმა 166 ქალბატონზე გამოსცადეს, რომელთა საშუალო ასაკი 61 წელი იყო. მცენარეულ ნედლეულზე დამზადებული ბიოლოგიურ დანამატს Dove Spa Strength Within უწოდეს და ცხვირ-ტუჩის ნაოჭებთან ბრძოლაში გამოსცადეს. მეცნიერები აცხადებენ, რომ ეს პრეპარატი ბოტოქსის საუკეთესო ალტერნატივაა. აბების ერთი თვის მარაგის ღირებულება 35 გირვანქა სტერლინგია და ის ნისლიანი ალბიონის დედაქალაქში უკვე გაყიდვაშია. პრეპარატის შემადგენლობაში შედის სოიოს კომპონენტები, ვიტამინები, ცხიმმჟავა ომეგა-3, ნივთიერება ლიკოპინი... აღსანიშნავია, რომ ექსპერიმენტში მონაწილე ქალბატონების გამოკვლევა 14 კვირის განმავლობაში მიმდინარეობდა და შედეგად, მათ სახის კანი აშკარად გაუუმჯობესდათ — ბევრად ელასტიური და ახალგაზრდა გახდა.



სიმსუქნის ნამდვილი მიზეზი

ნახშირმჟავა აირი სიმსუქნის ეპიდემიის მთავარი მიზეზია, — ასეთ მოსაზრებამდე დანიელი მკვლევარები ხანგრძლივი დაკვირვების შედეგად მივიდნენ. მათი განცხადებით, აშშ-ში ადამიანები ინტენსიურად სუქდებოდნენ 1986-2010 წლებში, ატლანტის ოკეანის აღმოსავლეთ სანაპიროზე, სადაც ნახშირმჟავა გაზის ყველაზე დიდი კონცენტრაცია იყო დაფიქსირებული. ცხოველებზე ჩატარებული ლაბორატორიული კვლევების შედეგად გამოვლინდა კავშირი ამ აირსა და ზედმეტ კილოგრამებს შორის. ორექსინი — ჰორმონი, რომელიც პასუხისმგებელია ენერგიაზე, სიფხიზლესა და მადის სტიმულირებაზე, ნახშირმჟავა გაზის მავნე ზეგავლენას განიცდის, შედეგად ადამიანი გვიან იძინებს, მერე მეტაბოლური პროცესები ირღვევა და საბოლოოდ, წონაში იმატებს.

ნორვეგიელებს სიკვდილი აუკრძალეს

ლონგიერი — ნორვეგიის პროვინცია სვალბარდის (შპიცბერგენის არქიპელაგი) უდიდესი დასახლებული პუნქტი და ადმინისტრაციული ცენტრია, სადაც უჩვეულო კანონი მოქმედებს — ადგილობრივებს ოფიციალურად ეკრძალებათ ლონგიერის ტერიტორიაზე სიკვდილი. თუ ვინმე ავად გახდება ან უბედური შემთხვევა ლეტალურად დასრულდება, პაციენტი დაუყოვნებლივ გადაჰყავთ ნორვეგიის სხვა ნაწილში, სადაც „გარდაცვალება ნებადართულია“. ასეთ ღონისძიებებს აქაურები იმის გამო მიმართავენ, რომ მუდმივი გამყინვარების პირობებში გარდაცვლილთა სხეული არ იხრწნება და მტაცებლების საჯიჯგნად იქცევა ხოლმე.

პროდუქტი, რომელიც ფსიქიკას აზიანებს

ესპანეთის ლას-პალმასის უნივერსიტეტის სწავლულებმა გაარკვიეს, რომ ზოგიერთი პროდუქტი ცუდად აისახება ადამიანის ფსიქიკაზე. ძირითად გამღიზიანებლებად მეცნიერებმა ფასტ-ფუდი, ფქვილის ნაწარმი, ორცხობილა და ნამცხვრები დაასახელეს, რომელიც საკონდიტროებში მზადდება. მკვლევარების ექსპერიმენტში 9 ათასი მოხალისე მონაწილეობდა — ისინი სხვადასხვა პროდუქტს მიირთმევდნენ და დადგინდა, რომ ვინც შეგნებულად ირჩევდა ფასტ-ფუდსა და ნამცხვრებს, უფრო აგრესიული ხდებოდა, ხოლო ვის რაციონშიც ბოსტნეული და მწვანილი ჭარბობდა, უფრო თავშეკავებული და მშვიდი იყო. ესპანელი მკვლევარების ვერსიით, თუ ადამიანი რეგულარულად იკვებება „გამღიზიანებელი პროდუქტით“, მისი ფსიქიკური მდგომარეობა ერთ თვეში უარესდება, მიზეზი კი ტრანსცხიმებია, რომელსაც ორგანიზმი ძნელად ითვისებს და შინაგან ორგანოებში ილექება. თანაც ასეთი საკვები სისხლში ქოლესტერინის დონეს ზრდის და წონის მატებას იწვევს.

ცხვირის ფორმა — ეიფელის კოშკი

ჩინეთში ბოლო დროს უჩვეულო პლასტიკური ოპერაციაა მოდაში — ათასობით ჩინელი ახალგაზრდა, განსაკუთრებით კი ისინი, ვინც უმაღლეს სასწავლებელს ამთავრებენ, სიამოვნებით იხდის ფულს, რათა ქირურგებმა ეიფელის კოშკის მსგავსი ცხვირი გაუკეთონ. ჩინელები დარწმუნებულნი არიან, რომ ამ გზით მიღებული ლამაზი გარეგნობა მათ სამსახურის შოვნაში დაეხმარება. აღსანიშნავია, რომ ამ ქვეყანაში ზოგიერთი დამსაქმებელი მართლაც გარკვეულ მოთხოვნებს უყენებს დაქირავებულებს გარეგნობასთან დაკავშირებით. მაგალითად, ზოგ კომპანიაში თანამშრომელთა წონის ზღვარია დადგენილი, ჩინეთში შრომის ბაზარზე კონკურენცია მართლაც დიდია. მხოლოდ 2013 წელს უმაღლესი სასწავლებელი შვიდმა მილიონმა ახალგაზრდამ დაამთავრა და რა გასაკვირია, ამდენ სპეციალისტს სამსახურის შოვნა რომ უჭირს.

გართოება

1. იარაღის მწარმოებელი ამერიკ. კომპანია
2. თბილისის გარეუბანი
3. ვირტუალური ქალაქი „12 სკამში“
4. ძვ. რომის იმპერატორი
5. ქართველი კინორეჟისორი
6. ადამიანის აზროვნების ორგანო
7. წელიწადის დრო
8. პარაზიტი თასმისებური ჭია
9. დანტე ალიგიერის სატრფო
10. საქონლის „სუფთა“ წონა
11. ადამიანის კანის ქრონიკული დაავადება
12. დულსინეას ნამდვილი სახელი
13. კორიდის მთავარი მონაწილე
14. მგალობელი ფრინველი
15. დიდი ფორმატის სქელი წიგნი
16. პეპი გრძელიწინდას მეგობარი
17. აშშ-ის შტატი
18. გადაჭარბებული თავმოყვარეობა
19. საქარგავი ფერადი ძაფები
20. ბალერ. ფეხსაცმელი
21. ისტორ. მუზა
22. ავტორბოლა
23. ინის მეწყვილე ჩინურ ფილოსოფ.
24. წერილის მოძველებ. სახელწოდ.
25. პატარა საწნახელი
26. დიზაინერი ნინა ...
27. დასტურის სიტყვა იტალიურენაში
28. დუმილის კანონი მაფიაში
29. პლანეტა იუპიტერი ძვ. ქართ.
30. უნგრეთის უდიდესი ტბა
31. ინგლისელი მწერალი
32. მელვინ. ქართული წარმართული ღვთაება
33. იგივეა, რაც საწვიმარი
34. სადღესასწაულო ნამცხვარი
35. ქალაქი იტალიაში
36. ყირგიზეთის ვალუტა
37. ნახევარდოლისებრი სარტყელი ინსტრუმ.
38. ვაშლის ღვინო
39. ტბა აფრიკაში
40. ჰაკერი „მატრიცაში“
41. კოვბოის ქამანდი
42. იგივეა, რაც მამითადი
43. სუსტი ქარი, ნიავი
44. დიდი თეფში
45. ქვეყანა აფრიკაში
46. პიანისტი მუნჯი კინოს სეანსზე
47. ...-დეჟანეირო
48. დადგენილი საზომი ერთეულის ზუსტი ნიმუში
49. თუთიყუშის სახეობა
50. ქალაქი ესპანეთში
51. მზის ამოსვლა
52. მუსიკ. გამის IV ნოტი
53. აშშ-ის ორმოცდამეათე შტატი
54. მარიტას ბებია „ნატერის ხეში“
55. სოფელი გარდაბნის რაიონში
56. შეძახილი კავკასიურ ცეკვებში
57. ი. გოგებაშვილის მშობლიური სოფელი
58. ფეხბურთის გულშემატკივართა სახელწოდება ბრაზილიაში
59. ციხე „გრაფ მონტეკრისტოში“
60. სუმოს საჭიდაო მოედანი
61. „იუვენტუსის“ ჩილელი ლეგიონერი

ერის ნათელი მომავალი ეკლესია-მონასტრების მშენებლობაშია, მიიღეთ მონაწილეობა წმიდა ანდრია პირველწოდებულის მონასტრის მშენებლობაში. უფალი შეგეწევათ. ბედნიერი ადამიანი - მორწმუნე ადამიანია.

რომ გწამდეს - უნდა დაიჯერო, რომ გჯეროდეს - უნდა გინდოდეს, მადლი რომ მოიპოვო - უნდა გსურდეს. ქართველნო ერთად ღვთისაკენ.

ღმერთმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ

შინდომა ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის „ყოვლთა დედოფლის – პანფანასას“ სახელობის დედათა მონასტერი „ყოვლთა დედოფლის საკანე“

„ყოველთა დედოფალი პანტანასას“ ღვთისმშობელი ცნობილია, როგორც ონკოლოგიურ ავადმყოფთა შემწე. სამწუხაროდ, საქართველოში გაიზარდა ამ სენით დაავადებულ ავადმყოფთა რაოდენობა. მრევლისა და ონკოლოგიურ დაავადებათა რესპუბლიკური ცენტრის ექიმებისა და პაციენტების თხოვნით, ათონის წმ. მთაზე, ვატობედის მონასტერში, სადაც დაბრძანებულია ხატის ორიგინალი, შეიქმნა მისი ასლი, რომელიც 2003 წელს ჩამობრძანდა ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესიაში. კვირაში 2-ჯერ: ოთხშაბათს და პარასკევს, დღის 2 საათზე, აღევლინება ჯანმრთელობის პარაკლისი და უსასყიდლოდ გაიცემა საკურნებელი ზეთი ღვთისმშობლის კანდელიდან. ხატთან დღემდე აღესრულება სასწაულები. მრავალი ადამიანი განიკურნა, მრავალთა ავადმყოფობამ პროგრესირება შეწყვიტა.

გთხოვთ, თქვენი წვლილი შეიტანოთ მონასტრის მშენებლობაში და დარეკოთ: დერეკეთ: ჯეოსელის აბონენტებმა — 700311; მაგთის აბონენტებმა — 200351; ბილაინის აბონენტებმა — 700311

ზარის ღირებულება 1 ლარი

ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესია. სს „საქართველოს ბანკი“ ცენტრ. ფილ. ბანკის კოდი 220101502 ეროვნულ ვალუტაში ა/ა 000700205. გიორგი რაზმაძე (წინამძღვარი). სს „კორ სტანდარტ ბანკი“ კოდი: 220101945 ეროვნულ ვალუტაში ა/ნ 1123598

უფალმა შეგიწიროთ. პანტანასას ღვთისმშობელმა დაგლოცოთ!

Appraisal.llc

შპს „აპპრაისალი“ გთავაზობთ,

უძრავი და მოძრავი ქონების შეფასებას

ალექსანდრე ფურცელაძე
მისამართი: ნუცუბიძის №16ა
ტელ.: (5)99 22 98 33
ელ-ფოსტა: a.purtseladze@gmail.com

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
რუსუდან შელია, ნათია ვასაძე.
სტილისტი: ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 590 740999; 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.